ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ტარიელ ირემაძე

არასამთავრობო ორგანიზაციების (NGO) როლი პოლიტიკურ სტაბილურობაში საქართველოს მაგალითზე

კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია კონფლიქტოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: გუგული მაღრაძე, სრული პროფესორი

თბილისი 2019

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომის მიზანია შეისწვლოს არასამთავრობო ორგანიზაციების (NGO) როლი ქვეყნის შიდა პოლიტიკურ სტაბილურობაში, საქართველოს მაგალითზე. ქვეყნის შიდა პოლიტიკური სტაბილურობა საკმაოდ კომპლექსური და რთული საკითხია, რომელშიც შესაძლოა მოვიაზროთ ბევრი მოვლენა, მათ შორის ქვეყნის პოლიტიკურ თუ სოციალურ ცხოვრებაში მიმდინარე საკითხები და მეორე მხრივ ამ საკითხებში ჩართული აქტორები, რომლებსაც უწევთ ერთად ოპერირება და თანამშრომლობა სხვადასხვა პრობლემების გადასაჭრელად. თუმცა მოცემულ ნაშრომში პოლიტიკური სტაბილურობა დაყვანილია შემდეგი საკითხების კვლევის დონეზე: გამოხატვის უფლება; ანგარიშვალდებულება; ძალადობის/ტერორიზმის არსებობა; მთავრობის ეფექტიანობა; რეგულაციების ხარისხი; ნაშრომი მთავარ აქცენტს აკეთებს სახელმწიფოსა და მესამე სექტორის ურთიერთობაზე (არასამთავრობო ორგანიზაციების სახით; NGO) კვლევის მთავარი ინდიკატორები ეყრდნობა ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის USAID-ის (United States Agency for International Development) მიერ გამოქვეყნებულ ყოველწლიურ კვლევებს, რომელიც აფასებს - ცენტრალური, აღმოსავლეთ ევორპისა და ევრაზიის ქვეყნებში არასამთავრობო ორგანიზაციების მდგრადობის კოეფიციენტს. ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩო ეფუძნება საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან (1991) 2018 წლამდე არსებულ პერიოდს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარების თვალსაზრისით. ნაშრომში პოლიტიკური სტაბილურობის ბლოკი ეყრდნობა მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებულ ყოველწლიურ ოფიციალურ მონაცემებს, რომლებიც ასახავენ კონკრეტულ სახელმწიფოებში პოლიტიკური სტაბილურობის ინდექსს. ნაშრომში მთავარ ჰიპოთეზად წარმოდგენილი იყო კავშირის დადგენა არასამთავრობო ორგანიზაციის ფინანსებსა და მათ წვლილზე ქვეყნის შიდა პოლიტიკურ სტაბილუროაში. კვლევამ აჩვენა რომ ზემოაღნიშნულ ორ ცვლადს შორის პოზიტიური კორელაციური კავშირი არსებობს, რაც გულისხმობს შემდეგს - რაც მეტია არასამთავრობო ორგანიზაციის ყოველწლიური ფინანსური ბრუნვა - შესაბამისად მეტია მისი გავლენა და წვლილი პოლიტიკურ

სტაბილურობაში. დამატებით ნაშრომში გამოიკვეთა საკითხი რომელიც ხაზს უსვამს საერთაშორისო და ადგილობრივი დონორი ორგანზაციების მნიშვნელობას არასამთავრობო ორგანიზაციების პოზიციებისა და ხედვების ჩამოყალიბებაში. ორგანიზაციების სამოქალაქო კურსი, რომლებიც წლების განმავლობაში იღებდნენ და იღებენ საერთაშორისო ფინანსურ გრანტებს დასავლური სახელმწიფოებიდან თუ ქვეყნებიდან ემყარება ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას.

ხოლო იმ ორგანიზაციების საჯარო გამოსვლები და მედია კონტენტ ანალიზი, რომლებსაც არ მიუღიათ საერთაშორისო ფულადი დახმარება, ან უარს აცხადებენ საკუთარი ფინანსური ბრუნვის გასაჯაროებაზე, აჩვენებს, რომ მსგავსი ორგანიზაციის ხელმძღვანელები და წამომადგენლები აჟღერებენ ანტი-დასავლურ პოზიციებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ნაშრომში არასამთავრობო ორგანიზაციები დაიყო დონეების მიხედვით, გამოიყო სამი დონე - საიდანაც მკითხველს საშუალება აქვს ნათლად დაინახოს კვლევაში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების რაოდენობრივი და ხარისხობრივი გადანაწილება სექტორულ დონეებში სხვადასხვა ინდიკატორებზე დაყრდნობით.

Annotation

The aim of this thesis (The Role of NGOs in Political Stability on The Case of Georgia) is to study the role of NGOs in the internal political stability of the county on the case of Georgia. Internal political stability of the country is quite sophisticated and complicated issue. It includes many events like current issues of political and social life of the country and on the other side actors who are involved in these issues. These actors cooperate for solving various problems. Although, political stability in this thesis implies to researching following issues: freedom of expression, accountability, existence of violence/terrorism, efficiency of government, quality of regulations. The main focus of this study is on relationship between the government and the third-sector. The major indicators of the thesis are based on annual researches of the most competitive international organization USAID, which assesses NGOs sustainability index of Central European, Eastern European and Eurasian countries. Chronological framework of the thesis is based on formation and development of the civil society since independency (1991) of Georgia until 2018. Political stability sector of the study depends on annual official data of World Bank, which expresses internal political stability index in the country. The main hypothesis of the research was finding connection between finances of the NGOs and their contribution in internal political stability of the country. The research clarified positive correlation between two variables mentioned above, which means that the more annual financial turnover of NGO is the more it influences on political stability of the county. In addition new issue derived, which underlines importance of international and national donor organizations in development of positions and views of NGOs. The civil course of those organizations, which receive grants from western countries, is based on European and Euro-Atlantic integration. As for those organizations, which have not received international grants or refuse to publish their annual financial turnover announce anti-western views.

According to the ideas mentioned above NGOs are divided into levels. Three levels were distinguished. The reader can clearly identify quantitative and qualitative distribution of participants NGOs in sectorial levels based on various indicators

სარჩევი

შესავალი 6

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა.....18

თავი II. არასამთავრობო ორგანიზაციების ფუნქციებისა და მისიის ტრანსფორმაცია ქართულ რეალობაში.....28

პარაგრაფი 1.2 საინფორმაციო ბლოკი 32

თავი III. არასამთავრობო ორგანიზაციების სტრუქტურულ- ფინანსური საკითხები 36

პარაგრაფი 3.1 არასამთავრობო ორგანიზაციების ინსტიტუციური განვითარება 43

თავი IV. არასამთავრობო ორგანიზაციების სამოქმედო არეალი და მათი წვლილი ქვეყნის შიდა პოლიტიკურ სტაბილურობაში.....47

პარაგრაფი 4.1 არასამთავრობო ორგანიზაციების როლი სახელმწიფოს პოლიტიკურ სტაბილურობაში (მსოფლიო ბანკის სტატისტიკური მონაცემები, საქართველო).....54

დასკვნა.....59

გამოყენებული ლიტერატურა 62

დანართები.....65

შესავალი

კვლევაში გამოყენებული აბრევიატურები

NGO – Non Governmental Organization

UN – United Nation

EU – European Union

OSCE – Organization for Security and Co-operation in Europe

USAID – United States Agency for International Development

EaP CSF GNP - Eastern Partnership Civil Society Forum Georgian National Platform

WEF – World Economic Forum

FI – Frazer Institute

WB – World Bank

TI – Transparency International

OSF – Open Society Foundation

Key words: არასამთავრობო ორგანიზაციები, სახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაციები, მდგრადი განვითარება, პოლიტიკური სტაბილურობა, კონფლიქტები

კვლევის აქტუალობა

1980-იანი წლების მიწურულს როდესაც იწყება რეალური რყევა საბჭოთა იმპერიისა, დემოკრატიული იდეებისა და ევროპული ღირებულებების ექსპორტირების პარალელურად იწყება საუბრები არასამთავრობო სექტორის (NGO) როგორც ლეგალური მოთამაშის შექმნისა და დაარსების შესახებ საქართველოში. სწორედ 1989 წლიდან იწყება ე.წ „მესამე სექტორის“ (სამოქალაქო საზოგადოების - არასამთავრობო ორგანიზაციების სახით) ლეგალური შემოსვლა ქართულ რეალობაში.

არასამთავრობო სექტორის ექსპორტის ისტორია ქართულ რეალობაში ქრონოლოგიურად თითქმის პირდაპირ ბმაშია ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების წლებთან, რაც პოსტ-საბჭოთა ქვეყნების მაგალითებიდანაც ლოგიკურად დასტურდება. 1990-იანი წლების დასაწყისიდან, განსაკუთებით კი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, ევროპისა და ამერიკის დემოკრატიული ქვეყნები დაინტერესდნენ საქართველოში, ისევე როგორც სხვა პოსტკომუნისტურ სახელმწიფოებში, სამოქალაქო საზოგადოების ხელშეწყობით. მეორე მხრივ ქართული საზოგადოების აქტიურ ნაწილს საშუალება მიეცა თავისი საქმიანობისთვის ახალი რესურსები მოეძებნა. ამან ძირეულად შეცვალა სამოქალაქო აქტივობის ასპარეზი საქართველოში. შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ძირითადად დასავლური ფონდებიდან მიღებულ ფინანსურ რესურსებზე იყვნენ დამოკიდებული. (ნოდია, 2005, p. 15)

საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს იმის გაანალიზება და სიღრმისეული შესწავლა თუ რა გზები და ნაბიჯები გაიარა ამ ხნის განმავლობაში NGO სექტორმა და რა სახით ჩამოყალიბდა ის დღევანდელ საქართველოში. არსებული საკითხი რა თქმა უნდა მნიშვნელოვანი და რელევანტურია საკვლევ თემასთან მიმართებით.

შესაბამისად კვლევის საკითხიდან გამომდინარე, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოს შიდა პოლიტიკურ სტაბილურობასთან, მშვიდობის მშენებლობასთან, კონფლიქტების დარეგულირებასთან და არასამთავრობო სექტორსა და სახელმწიფოს შორის კონფლიქტებთან მნიშვნელოვანია, გაანალიზდეს სწორედ არასამთავრობო სექტორის საქმიანობა, რაშიც იგულისხმება მათი ნაბიჯები და ზოგადად როლი

რომლითაც ისინი ხელს უწყობენ ან ხელს უშლიან მშვიდობის მშენებლობას და კონფლიქტების დარეგულირებას და პოლიტიკური სტაბილურობის დღის წესრიგის შექმნას ქართულ რეალობაში.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ არასამთავრობო სექტორისა და სახელმწიფოს დამოკიდებულება დღემდე შესაძლოა რამდენიმე ეტაპად დაიყოს, კვლევის ანალიზში არსებული საკითხის სიღრმისეული განხილვა მეტად ნათელს გახდის თემის აქტუალურობას ზემოთ აღნიშნულ თითოეულ ეტაპზე. საინტერესოა გაანალიზდეს შემდეგი ეტაპები: 1. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან „ვარდების რევოლუციამდელი“ პერიოდი, რა სახით ყალიბდნებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები ამ დროს. 2. „ვარდების რევოლუციაში“ არასამთავრობო ორგანიზაციების როლი და შემდგომი განვითარება. 3. 2012 წლის ბოლოდან (ხელისუფლების არჩევნების გზით ცვლილება) დღემდე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწიფოს ურთიერთობა, მათ შორის არსებული კონფლიქტები და NGO-ების როლი ქვეყნის შიდა პოლიტიკურ სტაბილურობაში.

თითოეული ეს ეტაპი მკითხველს საშუალებას მისცემს ნათლად დაინახოს საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე რა როლი და ფუქნციები შეიძინა მესამე სექტორმა (არასამთავრობო ორგანიზაციების სახით) საქართველოში და როგორ ხდებოდა მათი შინაარსობრივი და იდეური ტრანსფორმაცია ქართულ რეალობაში.

დამატებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართულ საზოგადოებაში და აკადემიურ წრეებში შეინიშნება მსგავს თემებზე ემპირიული კვლევების სიმწირე. რაშიც არ იგულისხმება მცირე მოხსენებები და ზოგადი ხასიათის გამოსვლები, რომელებიც ნაკლებად შეიცავს აკადემიურ და მეცნიერულ ელემენტებს.

არსებული საკითხის მეცნიერული კვლევა, ასევე მნიშვნელოვანია იქედან გამომდინარე, რომ მისი წარმატებით განხორციელების შემთხვევაში გააქტიურდება მსგავს კვლევებზე აქცენტის გაკეთება კონკრეტული მეცნიერების თუ მკვლევარების მიერ და საკითხი გახდება პოპულარული. რაც თავის მხრივ გამოიწვევს არასამთავრობო სექტორის გაჯანსაღებას და საზოგადოებრივი დღის წესრიგში დააყენებს კონკრეტული

არასამთავრობო ორგანიზაციების სამოქმედო არეალის და მათი დღის წესრიგის გადახედვის საჭიროებებს, რომელიც გამყარებული იქნება მეცნიერულ დონეზე.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია გააანალიზოს საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან (1991წ) დღემდე არასამთავრობო ორგანიზაციების (NGO) ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპები, მათი ტრანსფორმაცია, კონფლიქტები სახელმწიფოსთან სხვადასხვა პერიოდში და არასამთავრობო ორგანიზაციების როლი ქვეყნის შიდა პოლიტიკურ სტაბილურობაში.

კვლევის ამოცანები

კვლევის მთავარ ამოცანებს წარმოადგენს შემდეგი საკითხების შესწავლა:

- კვლევისთვის საჭირო და რელევანტური თეორიული, ემპირიული და მეთოდოლოგიური უცხოური ლიტერატურის მოძიება, გაცნობა და მისი საჭიროებისამებრ ნაშრომში გამოყენება;
- ქართულ ენოვანი თეორიული და ემპირიული ლიტერატურის გამოყენება, რომელიც ნათლად ასახავს არსებულ კვლევაში აღებული ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების ქრონოლოგიური ჩარჩოს განვითარებას;
- კვლევაში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების სტრუქტურის და ფინანსების შესწავლა - რაშიც იგულისხმება: დამფინანსებელი დონორი ორგანიზაციები და წლიური ფინანსური ბრუნვა, წევრების რაოდენობა, იერარქია, გეოგრაფიული მასშტაბები და ა.შ.;
- USAID-ის ყოველწლიური კვლევების რომელიც ეხება *არასამთავრობო ორგანიზაციების მდგრადობის ინდექსის* გაანალიზება 90-იანი წლებიდან დღემდე. წინამდებარე მონაცემების შედარება და გაანალიზება *პოლიტიკური სტაბილურობის ინდექსთან* და ძირითადი ტენდენციების გამოკვეთა;

- საქართველოში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ინტერვიუების ჩატარება, რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენება - კერძოდ ანკეტირების გზით მათი გამოკითხვა;
- თვისებრივი კვლევის მეთოდის გამოყენება - კერძოდ სიღრმისეული ინტერვიუების ჩატარება სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის წარმომადგენლებთან, არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან და არსებულ თემაზე მომუშავე ექსპერტებთან;

კვლევის კითხვები

- როგორ ჩამოყალიბდა მესამე სექტორი საქართველოში და რა ფაქტორებმა მოახდინა გავლენა მის ტრანსფორმაციაზე ქართულ რეალობაში?
- საქართველოს დამოუკიდებლობიდან დღემდე რომელ ეტაპებზე არსებობდა არსამთავრობო ორგანიზაციებსა და სახელმწიფოს შორის კონფლიქტები?
- რა ფაქტორები ახდენს გავლენას იმ არასამთავრობო ორგანიზაციებზე, რომელთა წვლილი პოლიტიკურ სტაბილურობაში მეტია ვიდრე სხვა არასამთავრობოების?
- რა როლი აქვს არასამთავრობო ორგანიზაციებს საქართველოში კონფლიქტების პრევენციაში?
- დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე რომელ მონაკვეთში იყო საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების მდგრადი განვითარებისა და პოლიტიკური სტაბილურობის ინდექსის პროგერესი?

ჰიპოთეზა

ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების ყოველწლიური ფინანსური ბრუნვა და დამფინანსებელი დონორი ორგანიზაციები განსაზღვრავენ მათ როლს ქვეყნის შიდა პოლიტიკურ სტაბილურობაში

ცვლადები

დამოუკიდებელი ცვლადი - არსებულ ჰიპოთეზაში დამოუკიდებელ ცვლადს წარმოადგენს *დონორი ორგანიზაციები*, რომელებიც თავის მხრივ მათი იდეოლოგიის, შეხედულებებისა და ხედვების ცვლილებებისდა მიხედვით გავლენას ახდენენ ე.წ „შვილობილ“ ან დასაფინანსებელ ორგანიზაციებზე. თუმცა, თავის მხრივ სხვა შემთხვევაში, დონორი ორგანიზაცია - როგორც ასეთი შესაძლოა წარმოადგენდეს დამოკიდებულ ცვლადს და მის ხედვებზე და პოზიციებზე ასევე შეიძლება გავლენას ახდენდეს სხვადასხვა ფაქტორები.

დამოუკიდებელი ცვლადი - ყოველწილიური ფინანსური ბრუნვა არსებული ჰიპოთეზის მიხედვით არის დამოუკიდებელი ცვლადი რადგან იგი ზეგავლენას ახდენს: არასამთავრობო ორგანიზაციის პოლიტიკის განსაზღვრაზე, მისი აქტიურობის დონეზე და პროექტების რიცხვზე - ასევე წევრების ოდენობაზე და ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა გეოგრაფიულ წერტილში ორგანიზაციის ფილიალური ოფისების დაარსებაზე.

დამოკიდებული ცვლადი - ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები ჰიპოთეზაში ასევე დამოკიდებული ცვლადია, რადგან ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებზე გავლენას ახდენს ბევრი ფაქტორი/ცვლადი, მათ შორის: საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები, ყოველწლიური ფინანსური ბრუნვა, ორგანიზაციის წევრების ოდენობა და ა.შ.

დამოკიდებული ცვლადი - კიდევ ერთი დამოკიდებული ცვლადი ეს არის - *ქვეყნის შიდა პოლიტიკური სტაბილურობა* - იგი თავის მხრივ დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა: სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ნდობის ხარისხი, სამოქალაქო სექტორის არსებობა სახელმწიფოში და მისი შეუზღუდავი ფუნქციონირება, პოლიტიკური პრულარიზმი და სხვ.

ცვლადების კონცეპტუალიზაცია და ოპერაციონალიზაცია

<u>კონცეპტუალიზაცია:</u>

დონორი ორგანიზაციები - დონორი ორგანიზაცია შეიძლება იყოს, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო. ადგილობრივი დონორი ორგანიზაციები - წარმოადგენენ არაკომერციულ არასამეწარმეო იურიდიულ პირებს, რომელთა იურიდიული სტატუსი მიესადაგება და ჯდება ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის სქემაში. რაც შეეხება საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებს - მსგავსი ორგანიზაციები, როგორც წესი, წარმოადგენენ ქვეყნის გარეთ რეგისტრირებულ არაკომერციულ იურიდიული პირის სტატუსის მქონე გაერთიანებებს, რომლებიც მოქმედებენ ადგილობრივი ქვეყნის ან საერთაშორისო სამართლის იურისდიქციის ქვეშ. მსგავსი ორგანიზაციის მაგალითებს წამოადგენს: გაერო (UN); ევროკავშირი (EU); ეუთო (OSCE); აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID); ფონდი ღია საზოგადოება (Open society foundation); საერთაშორისო გამჭირვალობა (Transparency International) და სხვ.

ყოველწლიური ფინანსური ბრუნვა - მოცემულ ცვლადში იგულისხმება არასამთავრობო ორგანიზაციების (NGO) წლის პირველი თვის პირველი კალენდარული რიცხვიდან, წლის ბოლო თვის ბოლო კალენდარულ დღემდე მიღებული/გაცემული ფინანსური რესურსების ჯამური ოდენობა.

ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები - ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორც პირველ ცვლადში უკვე აღინიშნა, წარმოადგენენ ადგილობრივ არასამეწარმეო არაკომერციულ იურიდიულ პირებს, რომელებიც

მოქმედებენ ადგილობრივი იურისდიქციის მიხედვით - ისინი შესაძლოა დაფინანსდნენ როგორც ადგილობრივი დონორისგან, ასევე უფლება აქვთ მოიპოვონ საგრანტო დაფინანსება საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისგან. ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციას ასევე თავად აქვს უფლება იყოს დონორი ორგანიზაცია და აფინანსებდეს სხვადასხვა პროექტებს.

ქვეყნის შიდა პოლიტიკური სტაბილურობა - პოლიტიკური სტაბილურობა ესაა, სხვადასხვა პოლიტიკურ სუბიექტებს შორის არსებული კავშირის სისტემა, რომლისთვისაც გარკვეული მთლიანობა და მასზე დაკისრებული ფუნქციების ეფექტური რეალიზება დამახასიათებელია. ამ სისტემის სპეციფიკა უპირველეს ყოვლისა განისაზღვრება მასში ჩართული პოლიტიკური სუბიექტებით. მის მთავარ სუბიექტებს წარმოადგენს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. პოლიტიკურ სტაბილურობას გააჩნია საკუთარი შეფასების ინდიკატორები, რომელიც არსებული კვლევისთვისაც რელევანტურია: გამოხატვის უფლება; ანგარიშვალდებულება; ძალადობის/ტერორიზმის არსებობა; მთავრობის ეფექტიანობა; რეგულაციების ხარისხი; კანონის უზენაესობა; კორუფციის კონტროლი და სხვ.

<u>ოპერაციონალიზაცია:</u>

დონორი ორგანიზაციები - არსებულ კვლევაში დონორი ორგანიზაციის სტატუსი განისაზღვრება და დგინდება რამდენიმე გზით. პირველი - საერთაშორისო დონეზე აღიარებული ცნობილი ორგანიზაციები, რომლებსაც გააჩნიათ დონორ ორგანიზაციად არსებობის მრავალწლიანი გამოცდილება. მეორე - ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების (NGO) მიერ დასახელებული ორგანიზაციები, რომლებიც არიან მათი პროექტების დამფინანსებლები (როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები). საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ვინაობა და ინფორმაცია ასევე საჯაროა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (UN) ოფიციალურ ვებ-გვერდზე. (https://www.un.org/en/. UN, 2019.)

ყოველწლიური ფინანსური ბრუნვა - წინამდებარე ინფორმაცია წარმოადგენს საკმაოდ მგძნობიარე თემას ორგანიზაციებისთვის, შესაბამისად მისი დადგენა კვლევის ფარგლებში შედარებით რთულია. თუმცა კვლევაში მონაწილე ორგანიზაციათა გარკვეულ პროცენტს საკუთარ ოფიციალურ ვებ-გვერდებზე ან/და სხვა რესურსებზე გასაჯაროებული აქვთ თავიანთი წლიური ფინანსური ბრუნვები. მეორე მხრივ, არსებობს სხვა შედარებით მარტივი გზა არასამთავრობო ორგანიზაციების გვერდის ავლით, ლეგალურად მოიპოვო მათი წლიური ფინანსური ანგარიშები საქართველოს აუდიტის სამსახურისგან.

ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები - საქართველოში დარეგისტრირებული არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის სტატუსის მქონე ორგანიზაცია (ა(ა)იპ)

ქვეყნის შიდა პოლიტიკური სტაბილურობა - წინამდებარე ცნებას გააჩნია საკუთარი ინდიკატორები (გამოხატვის უფლება; ანგარიშვალდებულება; ძალადობის/ტერორიზმის არსებობა; მთავრობის ეფექტიანობა; რეგულაციების ხარისხი; კანონის უზენაესობა; კორუფციის კონტროლი და სხვ) რომლებითაც შეგვიძლია კვლევის მიმდინარეობის დროს გავზომოთ ქვეყნის შიდა პოლიტიკური სტაბილურობა, მოცემული ინდიკატორები აპრობირებულია მთელი მსოფლიოს მასშტაბით და იგი უკვე არა ერთხელ გამოიყენეს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა საკუთარ კვლევებში, რომლებიც ტარდება მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში. საქართველოსთან მიმართებით 2012-17 წლებში მსგავსი კვლევები ჩაატარეს შემდეგმა საერთაშორისო ინსტიტუტებმა: WEF – "გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი"; FI – "მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლება"; HF – „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში"; WB – "ბიზნესის კეთება"; WB – "მსოფლიო მმართველობის ინდიკატორი"; WB – "პოლიტიკური სტაბილურობის ინდექსი - საქართველო"

მეთოდოლოგია

კვლევა მიმდინარეობდა 2018 წლის 20 აპრილიდან - 2019 წლის 10 ივნისის ჩათვლით და იგი მოიცავდა რამდენიმე ეტაპს.

კვლევის პროცესში გამოყენებული იყო ტრიანგულაციური მეთოდი - რაც გულისხმობდა სოციალური კვლევის რამდენიმე მეთოდის კომბინაციურად გამოყენებას, კერძოდ- რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, ანკეტირების (პირისპირი ინტერვიუს) მეთოდის გამოყენება. კვლევის პროცესში სულ ჩატარდა 50 ინტერვიუ სხვადასხვა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან.

არასამთავრობო ორგანიზაციები შეირჩა შემდეგი მეთოდით:

საქართველოში 2012 წლიდან არსებობს „აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა“ (EaP CSF GNP) აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის მისიაა საქართველოს ევროპასთან ინტეგრციის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა და კონსოლიდაცია, დემოკრატიული ღირებულებების პოპულარიზაცია და მოქალაქეთა ინტერესების ადვოკატირება ქვეყანაში საყოველთაო კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

კოალიციის სტრატეგიული მიზნებია:

- ასოცირების შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი და პოზიტიური ცვლილებების ადვოკატირება როგორც ეროვნულ, ისე ევროპულ დონეზე საჯარო, სამოქალაქო საზოგადოებასა და კერძო სფეროებს შორის დიალოგის ხელშეწყობის გზით;
- საქართველოს ევროპული ინტეგრაციის მნიშვნელობის შესახებ ფართო საზოგადოების ინფორმირება მედიასთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით;

- პლატფორმის ფუნქციონირების ეფექტურობის უზრუნველყოფა დასახული მიზნების მისაღწევად.[1]

კოალიციის მიზნებიდანაც დასტურდება, რომ მოცემული ჯგუფი არასამთავრობოებისა არსებულ საკითხზე კვლევისთვის ყველაზე შესაბამისი და რელევანტური ჯგუფია. ამავდროულად კოალიციაში კვლევის პროცესის პერიოდში გაწევრინებულ ორგანიზაციათა რაოდენობა შეადგენდა 181 არასამთავრობო ორგანიზაციას, საიდანაც შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე შეირჩა 50 არასამთავრობო ორგანიზაცია.

დამატებით, კვლევის ფარგლებში თვისებრივი კვლევის მეთოდებიდან გამოყენებულ იქნა სიღმისეული ინტერვიუ და ექსპერტთა გამოკითხვა. ერთობლივად ჩატარდა ათი ინტერვიუ, საიდანაც ხუთი გახლდათ სიღრმისეული ინტერვიუ და სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის სამი ხელმძღვანელი და ამავდროულად ორი საჯარო სექტორის ბიუროკრატი. რაც შეეხება ექსპერტთა გამოკითხვებს - გამოიკითხა ხუთი ექსპერტი, რომლებსაც აქვთ აკადემიური და პრაქტიკული გამოცდილება როგორც არასამთავრობო სექტორში ასევე სახელმწიფო ბიუროკრატიულ აპარატთან მუშაობის/თანამშრომლობის, ამავდროულად გამოქვეყნებული აქვთ არსებულ თემაზე ნაშრომები ან პუბლიკაციები.

კვლევის შეზღუდვები

წინამდებარე სამეცნიერო ნაშრომს თან ახლავს ფაქტორები რომელიც შეგვიძლია მივიჩნიოთ კვლევის შეზღუდვებად. პირველ რიგში, ამ მხრივ გამოსაყოფია კვლევის გეოგრაფიული არეალი - რაშიც იგულისხმება ის, რომ რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევიდან აღებული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ ქ.თბილისის მასშტაბით

[1] აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა (EaP CSF GNP). (2019). Retrived on May 13, 2019 from: http://eap-csf.ge/index.php?option=com_content&view=article&id=853&Itemid=1487&lang=ka-GE (აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის მისია, 2012).

ჩატარებულ ინტერვიუებს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მათ წარმომადგენლებთან/ხელმძღვანელებთან და მეორე მხრივ არსებულ თემაზე მომუშავე ექსპერტებთან და სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის წარმომადგენლებთან. თუმცა მეორე მხრივ, ამ ნაწილში უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ კვლევაში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციათა მცირე ნაწილი (4%) ფლობს ოფისებს და წარმომადგენლობებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

კვლევის პროცესში ასევე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა ფინანსები და ადამიანური რესურსი. გამომდინარე ნაშრომის სპეციფიკიდან, რომელიც წარმოადგენს ინდივიდუალურ სამეცნიერო კვლევას, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მატერიალური და ადამიანური რესურსის სიმწირე ზღუდავს კვლევის მასშტაბურობას, რაც ცხადია კვლევის ერთ-ერთი შეზღუდვაა.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

მსოფლიოს მასშტაბით მრავალი ავტორი, მკვლევარი და მეცნიერი მუშაობს ისეთ საკითხებზე, როგორებიც არის: სახელმწიფოსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის ურთიერთობები, ქვეყნის შიდა თუ გარე პოლიტიკური სტაბილურობის განსაზღვრა და სხვადასხვა პოლიტიკური თუ სამოქალაქო აქტორების როლი მასში. კონფლიქტების პრევენციის დროს სამოქალაქო საზოგადოების და არასამთავრობო ორგანიზაციების როლი და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე კვლევის მთავარ მიზანს წარმოაგენს ქართული არასამთავრობო ორგანიაციების კვლევა სახელმწიფოსთან და კონფლიქტებთან მიმართებით, ლიტერატურის მიმოხილვაში საქართველოსთან ერთად დამატებით განხილული იქნება მსოფლიოში არსებული სხვადასხვა მაგალითები და განსხვავებული ავტორების თეორიული კონცეფციები, რომელიც შედარებული იქნება არსებული კვლევის თეორიულ ჩარჩოსთან.

თავის ნაშრომში „სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები“ გია ნოდია საუბრობს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ტრაექტორიაზე ქართულ რეალობაში. ჩემი კვლევის ქრონოლოგიური ჩარჩო შემოიფარგლება 1991-2018 წლებით, რომელის მნიშვნელობაც კვლევის შესავალშია დასაბუთებული. შესაბამისად არსებული კვლევისთვის საინტერესოა ამ ჭრილში გაანალიზდეს სხვათა მოსაზრებები და მონაცემები. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების (1991) წელი და ეროვნულ-გამათავისუფელებელი მოძრაობის პერიოდი ითვლება ე.წ დასავლური ღირებულებებისა და მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ერთგვარ საწყის წერტილად, ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოში თანამედროვე ტიპის სამოქალაქო საზოგადოებაზე საუბარი შეიძლება მე-19 საუკუნის შუახანებიდან დავიწყოთ. ამ ნაწილში ავტორს მიაჩნია რომ, საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარება მოხდა აღმოსავლეთ ევროპის მაგალითზე და არა კლასიკური დასავლური ევროპული ღრებულებებით, რაც გვაძლევს სამოქალაქო საზოგადოების წევრების ანუ ინდივიდთა ინტერესებს შორის დიდ განსხვავებას. თუ დასავლეთში ადამიანები იკრიბებოდნენ ეკონომიკური და მატერიალური

ღიღებულებების გარშემო, აღმოსავლეთ ევროპაში სამოქალაქო საზოგადოების ძირითადი მამოძრავებელი ბირთვი გახლდათ ინტელიგენცია. ცხადია აქ ავტორი იმოწმებს იმ დროს საქართველოდან ემიგრაციაში ძირითადად რუსეთსა და საფრანგეთში წასულ მოღვაწეებს, რომლებმაც შემდგომში უდიდესი წვლილი შეიტანეს ზოგადად საქართველოს ისტორიაში, სხვადასხვა მიმართულებით. აქ განსაკუთებით გამოსაყოფია ილია ჭავჭავაძის პერსონა, რომლის დაბრუნების შემდგომაც ჩნდება ქართული პრესა და სხვადასხვა სივრცეები, რომელიც ინტელიგენციის იმდროინდელ მთავარ მონაპოვრად ითვლება. (ნოდია, 2005, p. 13) ავტორი აღნიშნულ ნაშრომში იზიარებს რა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ 90-იან წლებში საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების გააქტიურება და საერთოდ მათი გამოჩენა პირდაპირ დაკავშირებული იყო საბჭოთა რეჟიმის ბოლო წლების გარდაქმნისა და პოლიტიკის შესუსტების წლებთან. დამატებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ ნოდიას შემოაქვს იმ პერიოდისთვის ახალი ტერმინი და საქართველოში 90-იან წლებში გამოჩენილ კრიმინალურ დაჯგუფებებს უწოდებს ე.წ „არასამოქალაქო საზოგადოებას“ (ნოდია, 2005, p. 15) რაც იმ პერიოდის საქართველოსთვის ნამდვილად სახასიათო ფაქტორად უნდა ჩაითვალოს. 1992 წლიდან, როცა დასავლურმა ფონდებმა და ინსტიტუციებმა საქართველო რეგიონში მიიჩნიეს ერთგვარ პერსპექტიულ ქვეყანად, სადაც საგანმანათლებლო და აქტივიზმში განხორციელებული ინვესტიციები ხანგრძლივ პერსპექტივაში პოზიტიური შედეგის მომტანი შესაძლოა ყოფილიყო, როგორც აქამდე არაერთხელ გაესვა ხაზი, აქტიურად დაიწყეს მათი დაფინანსება და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფა (მათ შორის, კონკრეტულ შემთხვევებში ადამიანური რესურსითაც) - ამ პროცესს შემდგომ წლებში ეწოდა ე.ჭ „ენჯეოიზაციის“ ეპოქა, რაც ნამდვილად კარგად ასახავს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ტრანსფორმაიას და განვითარების ხაზს არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართულებით. ავტორი აღნიშნავს, რომ ე.წ „ენჯეოიზაციის“ პროცესს ჰქონდა ორი მხარე, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი. ამ პროცესის მთავარ მიღწევაზე საუბრისას ნაშრომში სახელდება ის, რომ პირველად გაევლო ზღვარი და გაიმიჯნა მკაფიოდ ერთმანეთისაგან პოლიტიკური პარტიები და მესამე სექტორის, განსაკუთრებით კი არასამთავრობო ორგანიზაციების სამოქმედო არეალი და

ფუნქციები, როგორც პრაქტიკულ, ასევე თეორიულ-ფსიქოლოგიურ დონეზე საზოგადოების თვალსაწიერიდან გამომდინარე. ყველაზე კარგად ამ პროცესს აღწერს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დაგროვებული სოციალურ-ინტელექტუალური კაპიტალი, რომელმაც ჩემი ვარაუდით არასამთავრობო ორგანიზაციებს იმ პერიოდში (საუბარია 90-იანი წლების საქართველოზე) შეუქმნეს კარგი საფუძველი და პერსპექტივა, რომ მათი საქმიანობა გამხდარიყო ლეგიტიმური და სასარგებლო საზოგადოების უმეტესი სოციალური კლასისთვის, მათ შორის პოლიტიკური ელიტისთვის, როგორც ანგარიშგასაწევი ძალა. ჩემს კვლევაში მთავარ ჰიპოთეზას წარმოადგენს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და დამფინანსებელ/დონორ ორგანიზაციებს შორის კორელაციის კოეფიციენტის/დონის განსაზღვრა, რაც გულისხმობს იმას, რომ დონორი/დამფინანსებელი ინსტიტუცია გავლენას ახდენს არასამთავრობო ორგანიზაციაზე, მათ შორის იმაზე თუ რა როლი აქვს მას პოლიტიკურ სტაბილურობაში ქვეყნის შიგნით და ცხადია არამარტო. ზემოაღნიშნული კორელაციის არსებობაზე გია ნოდია საკუთარ ნაშრომში მიუთითებს და მეტიც, ყურადღებას ამახვილებს სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებზე, როგორებიც არის არასამთავრობო ორგანიზაციების მოტივებისა და სურვილების „ნამდვილობაზე“ და საკუთარ საზოგადოებაში „ფესვგადგმულობაზე“ რომელიც უნდა მიუთითებდეს ღირებულებებისადმი რეალური ერთგულების მიმართ.

არასამთავრობო ორგანიზაციების და სახელმწიფოს შორის თანამშრომლობის გამოწვევებსა და პრობლემებზე არაერთი ნაშრომი, მოხსენება თუ სტატია შეიქმნა მსოფლიო მასშტაბით, ერთ-ერთ სამეცნიერო სტატიაში (Ani Matei Dragos & Catalin Apostu - :*The relationship between the State and non-governmental organizations*, National University of Political Studies and Public Administration, Bucharest 10643, Romania). რომელშიც აღწერილია ურთიერთობები სახელმწიფო აპარატსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის, რუმინეთის მაგალითზე ამტკიცებს იმას, რომ ბიუროკრტაია წლების განმავლობაში ცდილობდა მოეპოვებინა მესამე სექტორის კეთილგანწყობა რათა მთავრობის ნაბიჯები ყოფილიყო უფრო მეტად მისაღები მათთვის ვიდრე ეს ობიექტურ რეალობაში შესაძლოა ყოფილიყო. სტატიაში ავტორები გამოთქვამენ მოსაზებას იმის შესახებ, რომ ნებისმიერ სახელმწიფოს მმართველობის გარკვეულ

ეტაპზე უჩნდება სურვილი (მიუხედავად მისი იდეოლოგიისა და მორალური ღირებულებებისა) მონოპოლია მოიპოვოს საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროზე, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოებაზე, ცხადია აქ იქმნება პრობლემა და კონფლიქტის ესკალაციაც ამ ეტაპზე იჩენს თავს (Dragos & Apostu, p.5, 2014). წინამდებარე სტატიაში ავტორები (Dragos & Apostu) აღნიშნავენ, რომ რუმინული არასამთავრობოებო ორგანიზაციების გავლენა საზოგადოებრივ ჯგუფებზე არც თუ ისე მაღალია, სტატიაში ამის რამდენიმე მიზეზია ჩამოთვლილი - მთავარ ფაქტორებად კი გამოტანიალია ფინანსების სიმწირე და პროფესიონალი კადრების არ არსებობა. ავტორები (Dragos & Apostu) სტატიის ბოლო გვთავაზობენ რამდენიმე ფაქტორს რომელთა ეფექტურად განხორციელების და მოქმედების შემთხვევაში სახელმწიფოში მთავრობისა და მესამე სექტორის ფუნქციონირება გახდება მეტად უფრო სასარგებლო და მომგებიანი: 1. კარგი მმართველობა ე.წ „Good Governance" – აქ იგულისხმება: სოციალური პოლიტიკა, რომელიც სახელმწიფო ინსტიტუტებს ეხმარება ჩამოაყალიბონ და ხელი შეუწყონ ჯანმრთელ სამოქალაქო საზოგადოებას და საჯარო ანგარიშვალდებულობის არსებობას; 2. რეგულაციები - აქ ერთიანდება იმ ტიპის კანონებისა და ნორმატიული აქტების დამუშავება/იმპლემენტაცია, რომელიც ხელს შეუწყობს კორუფციის აღმოფხვრას საჯარო სექტორში და არასამთავრობო ორგანიზაციების გაჯანსაღებას მათთან საბრძოლველად; 3. საგადასახადო პოლიტიკა - მოტივაციის ამაღლების უზრუნველყოფა, რომელიც აისახება კონკრეტულ ქმედებებში და მიზანმიმართული იქნება სახელმწიფო პრიორიტეტების განვითარებაზე. ამ ნაწილში ასევე იგულისხმება ბუნებრივი ფილანტროპიის წახალისება და შემოსავლების გენერალიზება; 4. კოორდინაცია - სადაც სახელმწიფოს აქვს მზრუნველი როლი მორგებული, მაგრამ ბოლომდე არ არის დომინანტი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს კოორდინაციაში, მაგალითად - ასეთ სისტემაში არასამთავრობო ორგანიზაციების არსებობა (NGO) ლეგალური და ლეგიტიმურია; 5. ოფიციალური მხარდაჭერა - სახელმწიფო უზრუნველყოფს ფინანსების მიწოდებას არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, სთავაზობს სხავადსხვა ტიპის კონტრაქტებს და გადამზადების საშუალებებს არასამთავრობო ორგანიზაციების პრიორიტეტული თემების მიხედვით, აქვე აღსანიშნავია, რომ სახლემწიფოს მიერ მსგავსი აქტივობები და დახმარება

არასამთავრობო ორგანიზაციის მხრიდან არ გულისხმობს მათი ავტონომიისა და დამოუკიდებლობის უგულებელყოფას.

რუმინეთის მაგალითზე, წინამდებარე სამეცნირო სტატიიდან მიღებული ინფორმაციის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოსა და არასამთავრობო სექტორს შორის არ არსებობს დავა პრინციულ საკითხებზე და კონფლიქტების დინამიკა ამ ორ სუბიექტს შორის შედარებით დაბალია. ყველაფერი ეს ცხადია გამოწვეულია სახელმწიფოს მიდგომიდან, რომელიც სხვადასხვა რესურსებით, მათ შორის მატერიალურად ეხმარება მესამე სექტორს, რაც ლოგიკურია სისტემის გარეთ მყოფ მოთამაშეებს არ აძლევს დამოუკიდებლად მოქმედებისა და გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას. სწორედ მსგავს პროცესზე მიუთითებდა თავის ნაშრომში გია ნოდია (2004) როდესაც საუბრობდა ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების სოციალური კაპიტალისა და ლეგიტიმაციის კრიზისზე, „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ - როცა მათი (NGO) ლიდერშიპის გარკვეულმა ნაწილმა დაიკავა სახელისუფლებო გუნდში წამყვანი პოზიციები. ამ გზაზე მართლაც საინტერესოა, რომ გაანალიზდეს არასამთავრობო ორგანიზაციების პოლიტიკა და იმ დროინდელი პერსპექტივები (საუბარია 2002-2005წ. საქართველოზე). „ვარდების რევოლუციის“ წინ არასამთავრობო ორგანიზაციათა ერთი ნაწილი თანხმდებოდა იმ აზრზე, რომ მათ დიდი როლი უნდა ეთამაშათ ხელისუფლების ცვლილებაში, რაც ცხადია პროცესში ღია მონაწილეობის გარეშე ვერ მოხდებოდა - ხოლო სხვა შემთხვევაში მათი პოლიტიკაში ღიად ჩართვა ბევრისთვის მანიშნებელი იყო იმისა, რომ არასამთავრობო ოგანიზაციები ტრანსფორმირდებოდნენ პოლიტიკურ პარტიებად და მათი სამოქმედო არეალი აღარ იქნებოდა ის რაც ახასიათებთ ობიექტურ და მიუკერძოებელ დასავლურ არასამთავრობო ორგანიზაციებს და მთლიანად სამოქალაქო სექტორს მისი სხვადასხვა შტოებით. სწორედ ზემოაღნიშნულ მოსაზრებას იმეორებს ავტორი ნაშრომის ერთ-ერთ ნაწილში, სადაც ნახსენებია, რომ „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთი შედეგი ის იყო, რომ სამოქალაქო სექტორის დიდი ნაწილი საზოგადოების თვალში ახალ ხელისუფლებასთან ასოცირებული აღმოჩნდა. გარკვეულწილად, მსგავსი იყო დონორთა აღქმაც. ეს აღქმა გააძლიერა იმანაც, რომ როგორც ზემოთ არაერთხელ ვახსენე არასამთავრობო ორგანიზაციები ხელისუფლებისთვის ადამიანური რესურსების ერთ-ერთი

მნიშვნელოვანი წყარო გახდა (ნოდია, 2005, p. 19). შეიძლება ითქვას, რომ ამ ყველაფერმა არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის მოიტანა საკმაოდ ცუდი შედეგები, რაც აისახა მათი საქმიანობის თითქმის ყველა ასპექტზე, მათ აღარ აშუქებდა მედია, რადგან იმდროინდელი ქართული მედია თვლიდა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები აღარ წარმოადგენდნენ მნიშვნელოვან აქტორებს პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რადგან მათი ლიდერშიფის ექპორტი მოხდა სახელმწიფო ინსტიტუტებში. მიუხედავად იმისა, იმ პერიოდში რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს დააკლდათ ადამიანური რესურსი, ინტელექტუალური რესურსი, საზოგადოებრივი მხარდაჭერა, სოციალური კაპიტალი და ა.შ ყველაზე მნიშვნელოვანი და რთულად გადასატანი მაინც გახლდათ დონორთა პოზიციების ცვლილება და ფინანსური ნაკადის შეწყვეტა, რაც უკვე ლეგიტიმურ ეჭვს ბადებდა იმის შესახებ გააგრძელებდნენ თუ არა არასამთავრობო ორგანიზაციები არსებობას საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ველზე.

ნაშრომში „პოლიტიკის ადვოკატირების წარმატება საქართველოში“ (*Policy Advocacy Success in Georgia: The role and limitations of NGOs in Influencing Public Policy*) საუბარია არასამთავრობო ორგანიზაციების სამოქმედო არეალზე და მათ შეფასებაზე 2003-2012 წლებში საქართველოში. (Macharashvili, Basilaia, Tangiashvili, 2015). წინამდებარე ნაშრომის ის ნაწილი, რომელიც აანალიზებს არასამთავრობო ორგანიზაციების როლს ამ პერიოდში, ეყრდნობა საერთაშორისო ორგანიზაცია USAID-ის მიერ ცენტრალური, აღმოსავლეთ ევროპისა და ევრაზიის ქვეყნებისთვის მომზადებულ კვლევის შედეგებს, არასამთავრობო ორგანიზაციების მდგრადი განვითარების ინდექსს. აღნიშნული ნაშრომი აგრძელებს იმ მოსაზრების განვითარებას, რომ საქართველოში 2003 წლის შემდეგ („ვარდების რევოლუციის“ შემდგომი პერიოდი) შემცირდა არასამთავრობო ორგანიზაციათა ნდობის კოეფიციენტი, არა მხოლოდ საზოგადოებაში არამედ მედიაში, პოლიტიკურ ელიტაში და ა.შ. ამას მოწმობს USAID-ის მიერ 2006 წელს გამოქვეყნებული ყოველწლიური ოფიციალური კვლევა, რომელშიც საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების მდგრადგი განვითარების კოეფიციენტი შემცირდა 4.0-დან 4.1-მდე (Macharashvili, Basilaia, Tangiashvili, p. 30, 2015). ამის მიზეზებზე საუბრისას ავტორები (Macharashvili, Basilaia, Tangiashvili, 2015) აღნიშნავენ, რომ იმ პერიოდში არასამთავრობო სექტორი მოკლებული იყო ყველანაირ შესაძლებლობას

ჩაეტარებინა კვლევები, მოემზადებინა პოლიტიკის დოკუმენტები, შეექმნა მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა და ა.შ რაც საბოლოო ჯამში იწვევდა საერთაშორისო აქტორების თვალში სამოქალაქო საზოგადოების, კერძოდ კი ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების რეგრესიას იმ პერიოდში, და ეს ყველაფერი სტატისტიკაშიც აისახებოდა. არასამთავრობო ორგანიზაციების მდგრადი განვითარების კოეიციენტი 2008-09 წლებში კიდევ უფრო გაუარსედა და იგი გაუტოლდა 4.4 კოეფიციენტს ციფრებში, რაც მკაცრი სიგნალის მანიშნებელი იყო არა მხოლოდ მესამე სექტორისთვის არამედ ხელისუფლებისთვისაც, რადგან არაერთმა საერთაშორისო ავტორიტეტულმა ორგანიზაციამ - როგორებიც არიან OSCE, UN, USAID დაიწყეს საუბარი იმაზე თუ რა ფაქტორები აფერხებდა და უქმნიდა კრიზის არასამთავრობო სექტორის და ზოგადად სამოქალაქო საზოგადოების მდგრად განვითარებას საქართველოში. (USAID, *NGO sustainability index for Central and Eastern Europe and Eurasia 12th and 13th edition,* 2008-09).

2010 წელს USAID-ის მიერ გამოქვეყნებულ კვლევაში (NGO Sustainability Index) ხაზი გაესვა 1998 წლიდან 2010 წლამდე სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შტოს - არასამთავრობო ორგანიზაციების მდგრადი განვითარების დინამიკას, პერსპექტივებსა და გამოწვევებს. ზემოაღნიშნულ პერიოდში კვლევაზე დაყრდნობით საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების მდგრადი განვითარების საუკეთესო საშუალო ქულა დაფიქსირდა 1998 წელს, რომელიც შეადგენდა 3.4 ქულას. ხოლო ყველაზე ცუდი შედეგი ამ პერიოდში ფიქსირდებოდა 2008, 2009, 2010 წლებში სადაც სამივე წელს საქართველომ 4.2 საშუალო ქულა დამსახურა. (*2010 NGO Sustainability Index for Central and Eastern Europe and Eurasia 14th Edition – November 2011*). USAID-ის კვლევა ეყრდნობა შვიდ ძირითად კრიტერიუმს რომლის მიხედვითაც იზომება კონკრეტულ სახელმწიფოში სამოქალაქო საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მდგრადობის კოეფიციენტი. ეს კრიტერიუმები გახლავთ: სამართლებრივი გარემო, ორგანიზაციების ფუნქციონალური აქტიურობა/სიძლიერე, ფინანსური სიცოცხლისუნარიანობა, ადვოკატირება, სერვისის დონე/მდგომარეობა, ინფრასტრუქტურა და საჯარო სურათი. თითოეულ კრიტერიუმში ქვეყანას ენიჭება კონკრეტული ქულა, რომელთა ჯამური საშუალო არითმეტიკული

ციფრი კი წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიაციების მდგრადი განვითარების კოეფიციენტს.

2011 წელს USAID-ის მიერ გამოქვეყნებულ კვლევაში საქართველოს ქულა არ შეცვლილა და იგი კლვავ 4.2 დარჩა. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კვლევის ინდიკატორებში და ცალკეულ კრიტერიუმებში ამ წელს საქართველოს ჰქონდა პროგრესი. მაგალითისათვის თუ შევადარებთ 2010 წლის ორგანიზაციების ფინანსურ სიცოცხლისუნარიანობას ვნახავთ, რომ ამ ნაწილში საქართველომ დაიმსახურა 5.2 ქულა, ხოლო მომდევნო წელს (2011) 0.2 მეათედით გაუმჯობესდა აღნიშნული გრაფა და ქულა გაუტოლდა 5.0-ს. ასევე მცირე მაგრამ გაუმჯობესება იყო ინფრასტრუქტურის ნაწილში სადაც წლიდან წლამდე (2010-11) საქართველოს მაჩვენებელი 4.3-დან 4.1-მდე გაუმჯობესდა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მიუხედავად მცირე პროგრესისა კონკრეტულ კრიტერიუმებში ამ პერიოდში საქართველოს ჯამური ინდექსი იგივე დარჩა და საერთაშორისო ორგანიაციამ მიიჩნია, რომ ზოგადი თვალსაზრისით 2011 წელს წინა წელთან შედარებით არსებითი სურათი არ შეცვლილა. (*2011 CSO Sustainability Index For Central and Eastern Europe and Eurasia 15th Anniversary Edition*)

რაც შეეხება 2012 წლის მონაცემებს, ეს წელი საქართველოსთვის საკმაოდ მნიშვნელოვნად შეფასდა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, მათ შორის USAID თავის კვლევაში აღნიშნავდა, რომ საქართველომ წარმატებით ჩააბარა საპარლამენტო არჩევნების გამოცდა და პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში არჩევნების გზით მოხდა ხელისუფლების ცვლილება, რაც ცალსახად პოზიტიურად შეფასდა მათი მხრიდან. რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციების მდგრადი განვითარების ინდექსს ამ წელს წინა ორ წელთან შედარებით (2010-11) საერთო მაჩვენებელი კოეფიციენტში არ შეცვლილა - 4.2. თუმცა, 2012 წელს გამოიკვეთა რამდენიმე კრიტერიუმში პროგრესი - კერძოდ ადვოკატირების ნაწილში გაჩნდა 0.1 მეათედით პროგრესი 2011 წელთან შედარებით და კოეფიციენტმა შეადგინა 4.2. ასევე მცირე პროგრესი განიცადა ე.წ "Public Image"-ს კოეფიციენტმა 0.1 მეათედით და საერთო მაჩვენებელი დაფიქსირდა 3.9 მეათედი ქულა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2012 წელს კონკრეტულ ინდიკატორებში პროგრესს თან ახლდა ერთ სექტორში მცირე კოეფიციენტის ვარდნა - კერძოდ 2011 წელს ორგანიზაციული სიძლერე და

ორგანიზაციის ფუნქციონალური მდგრადობა შეფასდა 4.1 ქულით, ხოლო 2012 წელს 4.2-ით რაც 0.1 მეათედით გაუარესებას მეტყველებს მოცემულ სექტორში. (*2012 CSO Sustainability Index For Central and Eastern Europe and Eurasia 16th Edition - June 2013*)

2013 წელი საქართველოსთვის რამდენიმე მიმართულებით მნიშვნელოვანი წელი იყო, საერთაშორისო საზოგადოება დიდი ინტერესით აკვირდებოდა საქართველოს თუ რა ცვლილებები განხორციელედებოდა სასამართლო სისტემაში, ინსტიტუციების განვითარების თვალსაზრისით, სამოქალაქო საზოგადოების თავისუფლების დონის კუთხით და ა.შ. შესაბამისად გადამწყვეტი როლი ენიჭებოდა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან 2013 წლის შეფასებას სხვადასხვა მიმართულებით, როგორც ახალი სახელისუფლებო გუნდის მოკლევადიან მიღწევებს ქართულ სახელმწიფოში. USAID-ის მიერ გამოქვეყნებული ტრადიციულ ყოველწლიურ კვლევაში 2013 წლის შეფასების დოკუმენტში საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების მდგრადი განვითარების საერთო ქულა/კოეფიციენტი გაიზარდა 0.1 მეთედით და შეადგინა 4.1 ქულა. აღნიშნული ცვლილება მიუთითებდა პოზიტიურ ძვრებზე სამოქალაქო საზოგადოებაში არსებული შეფერხებებისა და აგრეთვე საინტერესოა თუ რა კრიტერიუმებში მოხდა წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესება. შესაბამისად - ძირითადი მაჩვენებლები, რომლებიც გამოხატავენ საერთო სურათს არასამთავრობო ორგანიზაციების მდგრადობისა სახელმწიფოში ქართულ რეალობაში 2012 წელთან მიმართებით დარჩა იგივე, თუმცა პროგრესირდა ორი ფაქტორი, პირველი ადვოკატირება რომელიც 4.1 ქულიდან გაიზარდა 4.0 ქულამდე, რაც მიუთიებდა იმაზე რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან ადვოკატირებისა და იურიდიული დახმარებების რიცხვთა დონე გაიზარდა და ამავდროულად USAID-ის 2013 წლის კვლევაში ნახესენებისა, რომ გაიზარდა არა მხოლოდ რაოდენობა ადვოკატირების, არამედ მოხდა ხარისხრობრივი და შედეგობრივი პროგრესი, რაც წარმატებად ითვლება როგორც ცალკეული სამოქალაქო აქტივისტების და ინდივიდების, ამავდროულად არასამავრობო ორგანიზაციების, როგორც ცალკეული ჯგუფის სახელმწიფოს შემადგენლობაში. დამატებით პროგრესი ჰქონდა 2012 წელთან შედარებით კრიტერიუმს, რომელიც როგორც წესი USAID-ის კვლევებში იკავებს ბოლო პოზიციას შედასების პროცესის დროს, ეს არის ე.წ საჯარო სურათი/მდგომარეობა, რომელშიც

გასულ წლებში საქართველო 4.0 შეფასებას იღებდა, ხოლო 2013 წელს ეს ქულა გაუტოლდა 3.9-ს რაც სხვა ევროპული განვითარებული ქვეყნების, როგორებიც არიან (საფრანგეთი, გერმანია, დანია და ა.შ) არ ჩაუმოუვარდებოდა და ხშირ შემთხვევებში უტოლდებოდა კიდეც. (*2013 CSO Sustainability Index For Central and Eastern Europe and Eurasia 17th Edition - June 2014*)

საინტერესოა, რომ შემდეგ წლებში 2013 წლიდან 2017 წლამდე USAID-ის მიერ გამოქვეყებულ კვლევებში საქართველოს სტაბილურად 4.1 ქულა აქვს და იგი 4 წლის განმავლობაში არ შეცვლილა. ცვლილებები არის რა თქმა უნდა მცირე ინდიკატორებში და შეფასების სხვადასხვა კრიტერიუმებში, მაგალითისათვის ადვოკატირების კუთხით საქართველო წლიდან წლამდე პროგრესირებს, თუმცა საერთო სურათი არასამთავრობო ორგანიზაციების მდგრადი განვითარების კოეფიციენტისა არ იცვლება, რის შემაფერხებელ და შემაკავებელ ფაქტორებზე საუბრისას USAID-ის კვლევებში მთვარ მომენტებად ორგანიზაციების ფინანსური სიცოცხლისუნარიანობა სახელდება. ორგანიზაციები იქმნება, თუმცა ფინანსური სახსრების არ არსებობის გამო მათი ფუნქციონირება შეუძლებელი ხდება. მეორე შემაფერხებელ ფაქტორად ორგანიზაცია გამოყოფს პროფესიონალურ დონეზე გადამზადებული ადამიანური რესრუსის ნაკლებობას, რომლებმაც 2003-2007 წლებში გადაინაცვლეს სახელისუფლებო შტოებში.

USAID-ის ყოველწლიური კვლევები წარმოადგენს მნიშვნელოვან ინფორმაციას როგორც სახელმწიფოსთვის, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის და მისი სიღრმისეული გაანალიზება საშუალებას იძლევა ყოველწლიური პროგრესით წარმატება მიიღწეს თავისუფლების ზრდადობის თვალსაზრისით ყველა იმ სფეროში რომელშიც საქართველოს ჩავარდნები აქვს. არსებული შეუძლებელია მიიღწეს სახელმწიფოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობის გარეშე, ხოლო რა ფაქტორები უშლის ამას ხელს და რა ძირითად საკითხებზე წარმოიქმნება კონფლიქტები სახელმწიფოსა და არასამთავრობო ორგანიაციებს შორის - განხილულია შემდეგ თავებში.

თავი II. არასამთავრობო ორგანიზაციების ფუნქციებისა და მისიის ტრანსფორმაცია ქართულ რეალობაში

ქართულ რეალობაში არასამთავრობო ორგანიზაციების აქტუალიზაცია და მათი რიცხვის მზარდი განვითარება უკავშირდება 90-იანი წლების ბოლოს და ახალი საუკუნის დასაწყის, სადაც ე.წ „მომწიფებულ რევოლუციაში“ რამდენიმე მათგანი მნიშვნელოვან და გადამწყვეტ როლს ასრულებს. ასეთ ორგანიზაციებად მაშინ საზოგადოებას „თავისუფალი ინსტიტუტი“ და შემდგომში საზოგადოებრივი მოძრაობა „კმარა“ მოევლინა - რომელსაც აქტიური კავშირები ჰქონდა სერბულ სტუდენტურ ორგანიზაცია „ოტპორთან“ და ისინი პოლიტიკური გარდაქმნების და სამომავლო სოციალურ და პოლიტიკური რეფორმების ნაწილში აქტიურად თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან.

არასამთავრობო ორგანიზაციების როლი და ფუნქცია იმ პერიოდში (90-იანების ბოლო და 2000-იანების დასაწყისი) სრულიად განსხვავებული იყო დღევანდელ რეალობასთან შედარებით. აქ იგულისხმება ის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები მაშინ ასრულებდნენ ე.წ „საზოგადოებრივი მუხტის“ შექმნის მთავარ როლს და ფაქტობრივად შეგვიძლია მივიჩიოთ, რომ ეს იყო ერთ-ერთი მძლავრი იარაღი პოლიტიკური ხელისუფლების წინააღმდეგ. თუმცა შემდგომმა განვითარებულმა მოვლენებმა სრულიად შეცვალა მესამე სექტორის მიზნები, როლი და ფუნქცია - ჩვენ დღეს მათ განსხვავებული სახით ვიცნობთ.

2003 წლის ე.წ „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ საზოგადოებამ არასამთავრობო სექტორიდან არაერთი ლიდერი თუ ორგანიზაციის წევრი იხილა აღმასრულებელ თუ საკანონმდებლო ხელისუფლებაში. ყველაფერმა ამან საზოგადოებაში გააჩინა გარკვეული უნდობლობისა და ნიჰილიზმის გრძნობა მესამე სექტორისადმი რაც იმ პერიდში არაერთი კვლევის საფუძველზე დადასტურდა (მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, p. 67, 2003). ასეთი ასოცირება მართლაც რომ მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა „მესამე სექტორისთვის“. გაჩნდა კითხვები იმის შესახებ თუ როგორ უნდა აეწყო მას ურთიერთობა ერთი მხრივ, ხელისუფლებასთან ხოლო

მეორე მხრივ, საზოგადოებასთან, თუ ჩაითვლებოდა რომ ხელისუფლება თავისი ღირებულებებით პრინციპულად აღარ განსხვავდებოდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისგან. (ნოდია, p. 19. 2005).

მართლაც აღსანიშნავია, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ აშკარად შემცირდა სამოქალაქო სექტორის საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე საუბარი. ხელისუფლების წარმომადგენლები თვილდნენ და ეს მათი იმ დროინდელი საჯარო გამოსვლებიდანაც დასტურდება, რომ მათ არასამთავრობო ორგანიაციებიდან საუკეთესო ადამიანური რესურსი აითვისეს და იმ ადამიანების მოსაზრებები რომლებიც ვერ მოხვდნენ ამ ნაწილში აღარ წარმოადგენდა მნიშვნელოვან აზრს ხელისუფლებისთვის. არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ხელისუფლების ამ დამოკიდებულებაზე მეტად შოკის მომგვრელი და დამაზიანებელი იყო საერთაშორისო დონორთა პოზიცია, რომელთა აზრითაც დაფინანსების ძირითადი ნაკადები ამიერიდან უნდა მიმართულიყო არა სამოქალაქო საზოგადოებაზე, არამედ ხელისუფლებაზე, რადგან მათი აზრით ეს გზა მეტად ეფექტური და სწორი გზა იქნებოდა ქვეყნის დემოკრატიის განვითარებისთვის. ცხადია არსებულმა პოზიციებმა, როგორც ხელისუფლების ასევე საერთაშორისო დონორების, არასამთავრობო სექტორზე ნეგატიურად იმოქმედა, ამის შემდგომ შემცირდა მათი აქტივობა, როგორც საზოგადოებაში, ასევე განხორციელებული პროექტების თვალსაზრისით, რამაც იმოქმედა მედიის დამოკიდებულებაზე მათდამი. აღსანიშნავია, რომ მედიაც აღარ მიიჩნევდა სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მნიშნველოვან და ლეგიტიმურ ძალად პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ველზე, შესამაბისად მათი გაშუქება ნაკლებად წარმოადგენდა პრიორიტეტულ მიმართულებას მათთვის იმ პერიოდში.

არსებულ თემაზე წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩატარებულ ინტერვიუში ექსპერტი *გია აბაშიძე* აღნიშნავს, რომ *„არასამთავრობო ორგანიზაციების ტრანსფორმაციაზე საუბარი ჯერ კიდევ 90-იანების დასაწყისში შეიძლება, როდესაც არაჯანსაღ გარემოში ჩამოყალიბდა სექტორი და ამ არაჯანსაღ გარემოში პირველ რიგში ვგულისხმობ სახელმწიფო ინსტიტუციების გაუმართაობას, პოლიტიკური სტაბილურობის ძალიან დაბალ კოეფიციენტს იმ დროისთვის და ბევრ ისეთ ფაქტორს რომლის პირობებშიც უბრალოდ შეუძლებელი იყო სამოქალაქო საზოგადოების ჯანსაღ განვითარებაზე ფიქრი. ლოგიკურია, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, დასავლური ქვეყნები*

და საერთაშორისო ორგანიზაციები ფინანსურად მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ რამდენიმე ასეთი ორგანიზაციის დაფინანსებას, რომლებაც შემდგომში „ვარდების რევოლუციის“ დროს მათი იმედები გაამართლეს და ფაქტობრივად ამას არავინ უარყოფს, რომ მათი გარკვეული ნაწილი სამოქალაქო საზოგადოებიდან გახდა სახელისუფლებო საზოგადოება, სწორედ აქ იწყება მწვავე კონფლიქტი სახელმწიფოსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის, რასაც ცხადია მისი მიზეზები ჰქონდა. უპირველესი მიზეზი იყოს ის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები მთავარ საზოგადოებრივ და პოლიტიკური ცვლილებების არქიტექტორების ნაცვლად გადაიქცნენ რიგით ორგანიზაციებად რომელთა აზრს სახელმწიფო აღარ ითვალისწინებდა, მათ შორის არც საერთაშორისო საზოგადოებას ჰქონდა დიდი ყურადღება მათ მიმართ 2003-2007 წლების პერიოდში.“

წლების განმავლობაში არასამთავრობო სექტორის როლი და ფუნქციები ტრანსფორმირდებოდა და ცვლილებებს განიცდიდა, ამ პროცესში გარდამტეხი აღმოჩნდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები, როდესაც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად მოხდა ხელისუფლების არჩევნების გზით გადაბარების პროცესი. ამის შემდგომ იწყება პოლიტიკური სტაბილურობის საკითხის აქტუალიზაცია და პრიორიტეტიზაცია, საზოგადოების ყველა რგოლისთვის, მათ შორის ხელისუფლებისთვისაც. სწორედ ამ პროცესში რასაც პოლიტიკური სტაბილურობის დონის ამაღლება და მისი განვითარება ჰქვია, მნიშვნელოვანი როლი სწორედ მესამე სექტორს უნდა აეღო, რადგან განვითარებადი თუ განვითარებული ქვეყნების უმეტესობაში პოლიტიკური სტაბილურობის საკითხში ყველაზე დიდი როლი როგორც წესი არასამთავრობო ორგანიზაციებს აქვთ.

რა არის არასამთავრობო ორგანიზაციების დღევანდელი ფუნქცია საქართველოში? და რატომ მოხდა ცვლილებები მესამე სექტორის საზოგადოებრივი საქმიანობის როლსა და ფუნქციებში? ეს ის კითხვებია, რომელიც არსებული კვლევისთვის მნიშვნელოვანია და კვლევაში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების მონაცემებზე დაყრდნობით გასაანალიზებელ პუნქტებს წარმოადგენს, იმ მთავარ საკითხთან ერთად, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაციების როლის დადგენას უკავშირდება პოლიტიკურ სტაბილურობასთან მიმართებაში.

ზემოაღნიშნულ კითხვებზე ექსპერტთა ინტერვიუს ფარგლებში საკუთარი აზრი ჩამოაყალიბა *გიორგი მელაძემ* - რომელიც უშუალოდ იყო ჩართული „თავისუფალი ინსტიტუტის“ საქმიანობაში და დღესაც აქტიურად რჩება სამოქალაქო საზოგადოების

რიგებში და ცდილობს დაეხმაროს არასამთავრობო ორგანიზაციებს გაძლიერებაში სხვადასხვა მიმართულებით. მისი თქმით: *„თავდაპირველად დავიწყოთ იქედან, თუ რატომ მოხდა არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში და მის ფუნქციებში ცვლილება. ეს განპირობებული იყო ბევრი მოვლენიდან გამომდინარე, მაგრამ შევეცდები გამოვყო ყველა მნიშვნელოვანი პუნქტები რამაც ჩემი აზრით გავლენა იქონია ქართლულ NGO-ებზე. დასაწყისისთვის აუცილებლად უნდა ვახსენოთ ის, რომ „ვარდების რევულიციის“ შემდგომ იმგვარი გადალაგება მოხდა პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ველზე, რომ უბრალოდ საჭიროება აღარ იყო ისეთი დღის წესრიგის მქონდე სამოქალაქო ორაგნიზაციების როგორებიც იყვნენ თუნდაც „თავისუფალი ინსტიტუტი“ და „კმარა“ ასევე სხვები. ჩვენ შეგვიძლია ვიდაოთ იმ საკითხზე რამდენად მოახერხეს ან ვერ მოახერხეს ორგანიზაციებმა მათი დღის წესრიგის და პრიორიტერების ცვლილება, რომ ახალი რეალობისთვის არ ყოფილიყვნენ უცხო და სახელმწიფოსთან არ ჰქონოდათ ის პრობლემები რამაც შემდეგ წლებში იჩინა თავი და შემიძლია ვთქვა, რომ დღემდე გარკვეული დოზნით ეს კონფლიქტი სახელმწიფოსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის გრძელდება, განსაკუთრებით 2012 წლის შემდგომ როცა ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლები ღიად საკუთარ განცხადებებში აკრიტიკებენ და ხშირად უპირისპირდებიან არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერებს, რაც მათი დემონიზაციისკენ გადადგმულ ნაბიჯად შემიძლია შევაფასო“*

კვლევის მონაცემთა ანალიზი შედგება რამდენიმე ძირითადი ქვეთავისგან:

- არასამთავრობო ორგანიზაციების სტრუქტურულ-ფინანსური საკითხები - არსებული ქვეთავი აერთიანებს კვლევაში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების მოწყობას, წევრთა რაოდენობას, ოფისების რაოდენობას, ლოჯისტიკურ, მენეჯერულ და ფინანსურ საკითხებს;
- არასამთავრობო ორგანიზაციების სამოქმედო არეალი და მათი წვლილი ქვეყნის შიდა პოლიტიკურ სტაბილურობაში - მეორე ქვეთავში განხილულია არასამთავრობო ორგანიზაციების პროფილური სფეროები, პროექტები და ინიციატივები. ასევე გაანალიზებულია რამდენად რელევანტურია ეს ყველაფერი პოლიტიკური სტაბილურობის განვითარებასთან ქვეყნის მასშტაბით და რამდენად იკვეთება ამ ორ ცვლადს შორის ურთიერთკავშირი. არსებულ ქვეთავში წარმოდგენილია მსოფლიო ბანკის (World Bank) მონაცემები რომელიც ეხება პოლიტიკური სტაბილუროის ინდექსის ანალიზს კონკრეტულ ქვეყნებთან

მიმართებით, სადაც 90-იანი წლებიდან დღემდე გაანალიზებულია საქართველოში არსებული პოლიტიკური სტაბილურობის დონე;

- კვლევის ანალიზის ერთ-ერთი ქვეთავი დაფუძნებულია USAID-ის ყოველწლიურ კვლევებზე, რომელიც ტარდება ცენტრალური, აღმოსავლეთ ევროპისა და ევრაზიის ქვეყნების არასამთავრობო ორგანიზაციებზე და გამოხატავს მათ მდგრადობას ინდექსების მიხედვით, სადაც დაბალი კოეფიციენტი ნიშნავს მეტად მდგრად არასამთავრობო სექტორს სახელმწიფოში, ხოლო კოეფიციენტის ზრდადობა აღნიშნავს მდგრადი განვითარების გაუარესებას და რეგრესს. ზემოაღნიშნული ყოველწლიური გამოცემა/კვლევა ეხმარება მკითხველს დაინახოს ნათელი სურათი 90-იანი წლებიდან დღემდე როგორი დინამიკა და ტენდენციები შეინიშნება არასამთავრობო სექტორის განვითარებაში საქართველოს მაგალითზე. დამატებით არსებული მონაცემების ანალიზი საშუალებას იძლევა საქართველოს მონაცემები შედარდეს სხვა ქვეყნებთან მიმართებით, რომლებიც უკვე არიან ევროპული და ევროატლანტიკური ორგანიზაციების წევრები ან ჩვენს მსგავსად მიილტვიან მათკენ;

პარაგრაფი 1.2 საინფორმაციო ბლოკი

არსებული კვლევის ფარგლებში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების (სულ 50) 34% დაარსებულია 2012 წელს; 26% - 2009 წელს; 22% - 2010 წელს; 10% - 2006

წელს; 1% - 1999 წელს; 1% - 1988 წელს. (იხილეთ ცხრილი N1)

ცხრილი N1



როგორც ცხრილიდან ჩანს, კვლევაში მონაწილე არასამთავრობო ორგანიაციების უმეტესობა დაარსებულია 2012 წელს (17 NGO). 2012 წელს არასამთავრობო ორგანიზაციათა და ზოგადად ბიზნეს სუბიექტების რეგისტრაციისთვის მიმართვიანობის დონე გასულ წლებთან შედარებით აშკარად გაზრდილია, ამას ადასტურებს საჯარო რეესტრის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები,[2]

რომელიც ცხრილის სახით იხილეთ ქვემოთ. (იხ. ცხრილი N2). 2012 წელს არასამთავრობო ორგანიზაციათა რეგისტრაციის მიმართვიანობის დონის ამაღლება შესაძლოა დაკავშირებული იყოს, ამავე წელს გამართულ საპარლამენტო არჩევნებთან, როდესაც კოალიცია „ქართული ოცნება“ აწარმოებდა ქვეყნის მასშტაბით ხანგრძლივ საარჩევნო კამპანიას და საზოგოგადოების ყველა სოციალურ ჯგუფს მოუწოდებდა არჩევნებში სხვადასხვა გზით ჩართულობისკენ.

[2] საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ბიზნეს სუბიექტების რეგისტრაციის დინამიკა (2010-18წ). Retrieved on June 25, 2018 from: https://napr.gov.ge/p/679 (2018).

ცხრილი N2 (ბიზნეს სუბიექტების რეგისტრაციის დინამიკა, მათ შორის არაკომერციული არასამეწარმეო იურიდიული პირის სტატუსის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციების, 2012წ.)

წელი	თვე	იმ	სპს	კ	შპს	სს	კს	უსიპფ	აიპ	უაიპფ	სსიპ	მთლიანად
2012	1	2890	0	3	1220	2	0	7	103	2	0	**4227**
2012	2	2629	0	0	1236	7	0	9	136	0	0	**4017**
2012	3	2835	1	2	1229	3	0	5	102	1	1	**4179**
2012	4	2768	0	2	1210	1	0	10	86	1	2	**4080**
2012	5	3165	0	3	1380	2	0	10	105	2	0	**4667**
2012	6	2512	0	8	1164	2	0	7	83	1	0	**3777**
2012	7	2209	0	1	1060	3	0	10	84	0	0	**3367**
2012	8	1677	0	0	1115	0	0	6	78	0	1	**2877**
2012	9	1633	0	0	1035	3	0	7	64	0	0	**2742**
2012	10	1586	1	3	1445	3	0	16	78	2	3	**3137**
2012	11	1829	0	0	1477	6	0	4	121	1	2	**3440**
2012	12	1891	1	1	1372	4	0	6	148	0	1	**3424**

კვლევის არაორდინალური სპეციფიკიდან გამომდინარე, ცხადია არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევა საბოლოოდ მაინც უკავშირდება კონკრეტულ ინდივიდებთან ინტერვიუების ჩატარებას, შესაბამისად გთავაზობთ სტატისტიკურ განაწილებას - იმ ადამიანებისა ვინც მიიღო მონაწილეობა კვლევაში (ორგანიზაციულ-იერარქიული პოზიციებიდან გამომდინარე) (იხ. ცხრილი N3)

ცხრილი N3



კვლევაში მონაწილე ინდივიდების იერარქიული სტატუსის სტატისტიკური განაწილებიდან ნათლად ჩანს, რომ უმეტესობა 38% (ანუ 19 ადამიანი) იყო ამავე ორგანიზაციის წევრი, რაც კვლევისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ორგანიზაციის მუდმივი წევრის მიერ მოწოდებული ინფორმაცია მეტად ამყარებს მონაცემთა ვალიდურობასა და ლეგიტიმაციას. ასევე აღსანიშნავია, რომ კვლევაში მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ და მხოლოდ: აღმასრულებელმა დირექტორებმა, მათმა მოადგილეებმა, გამგეობის წევრებმა და ორგანიზაციის წევრებმა, რაც შეეხება გამგეობის თავმჯდომარესა და დროებით დაქირავებულ თანამშრომელს ან სხვა პოზიციაზე მყოფ პირს ორგანიზაციაში, მათი ინტერვიუები კვლევაში არ გხვდება.

თავი III. არასამთავრობო ორგანიზაციების სტრუქტურულ-ფინანსური საკითხები

არასამთავრობო ორგანიზაციები დემოკრატიული ტიპის მოწყობის საზოგადოებებში ითვლება უპირველეს იარაღად, ხალხის ხელში რათა სახელისუფლებო ორგანოებზე და ჯგუფებზე მოახდინოს გავლენა, ეფექტურად მიიტანოს მათი ინტერესი გადაწყვეტილების მიმღებ პირებამდე. რა თქმა უნდა, ეს განსაზღვრება აქსიომა არ არის და არასამთავრობო ორგანიზაციის ფუნქცია თუ როლი მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილით არ შემოიფარგლება. სახელმწიფო მოწყობის ტიპის, განვითარებისა და საზოგადოების დაკვეთის შესაბამისად ყალიბდება მესამე სექტორის ფუნქციონალური მისიები და როლი კონკრეტული ქვეყნის მასშტაბით.

მესამე სექტორის, კერძოდ კი არასამთავრობო ორგანიზაციების ეფექტური და შეუზღუდავი ფუნქციონირებისათვის უპირველესად მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს შიგნით საკანონმდებლო ბაზის გამართულობა და ნაკლები ბიუროკრატიული ბარიერების არსებობა მათთვის, გამჭირვალე, თანასწორუფლებიანი და კონკურენტულ გარემოში დაფინანსების მიღების შესაძლებლობა (მათ შორის ქვეყნის საზღვრების გარედანაც). მხოლოდ ამ ტიპის საფუძვლის მქონე სახელმწიფოშია შესაძლებელი საუბარი იმაზე, თუ რა როლი შეიძლება ჰქონდეთ არასამთავრობო ორგანიზაციებს ქვეყნის შიდა პოლიტიკურ სტაბილურობაში, რადგან უფუნქციო ორგანიზაციას ცხადია ვერანაირი გავლენა ვერ ექნება, მით უფრო ისეთ სენსიტიურ და მნიშვნელოვან სფეროზე, როგრსაც ქვეყნისთვის პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევა წარმოადგენს.

მოცემული პირობების არსებობა რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, ამას ადაუსტურებს ისიც, რომ ავტორიტარული მოწყობის ტიპის სახელმწიფოებში, მაგალითად რუსეთში არასამთავრობო ორგანიზაციების რეგისტრაცია საკმაოდ დიდ პრობლემებთან და წინაღობებთანაა დაკავშირებული, ხოლო რაც შეეხება ფინანსებს, თუ რომელიმე ორგანიზაცია უცხოეთიდან ფინანსდება,

მას ეკრძალება საქმიანობის გაგრძელება და ქვეყნის ჯაშუშად ან მტრად ცხადდება. შესაბამისად ამ ტიპის საზოგადოებებში შეუძლებელია ვისაუბროთ მესამე სექტორის როლზე პოლიტიკურ სტაბილურობაში, რადგან მათ პრაქტიკულად არ ეძლევათ საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელების საშუალება.

არასამთავრობო ორგანიზაციის ეფექტური ფუნქციონირებისთვის, ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ენიჭება წევრების ოდენობას და მათ კვალიფიკაციას. ორგანიზაციებს, როგორც წესი სხვადასხვა ტიპის მოწყობის მენეჯმენტი აქვთ, რაც გულისხმობს გამგეობის განყენებულად ფუნქციონირებას ხოლო ორგანიზაციის აღმასრულებელ ნაწილში სხვა ადამიანების ყოფნას. ორგანიზაციებს, როგორც წესი ჰყავთ დროებით დაქირავებული პირები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ კონკრეტულ პროექტებში, მაგრამ ისინი არ ითვლებიან ორგანიზაციის წევრებად.

მოცემულ კვლევაში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციათა წევრთა რაოდენობა საშუალოდ მერყეობს 12-20 ადამიანამდე. ეს ოდენობა სავსებით შეესაბამება ევროპული სტანდარტის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციათა ადამიანური რესურსის ხვედრით წილს. როგორც წესი მმართველ რგოლში ანუ გამგეობაში მაქსიმუმ 7 დან 10 ადამიანამდეა. ხოლო აღმასრულებელ ნაწილს მაქსიმუმ 15 ადამიანი უძღვება, ამასთანავე ბევრ ორგანიზაციაში გამგეობის თავმჯდომარე და აღმასრულებელი დირექტორი იგივე ფიგურაა.

რაც შეეხება ფინანსურ საკითხებს, კვლევის ეს ნაწილი ეთმობა არასამთავრობო ორგანიზაციათა წლიურ ფინანსურ ბრუნვას (თანხები მითითებულია ეროვნულ ვალუტაში) (იხ. ცხრილი N4)

კვლევაში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების წლიური ფინანსური ბრუნვა.

ცხრილი N4

კვლევაში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების წლიური ფინანსური ბრუნვა.



როგორც ცხრილი N4 გვაჩვენებს, კვლევაში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციათა უმრავლესობა მოქცეულია ცხრილის პირველ სექტორში, რომელიც მოიცავს 150.000 – 200.000 ლარის შუალედს, რაც საშუალოდ თვიურად მაქსიმუმ 17.000 ლარს შეადგენს. იმის დასადგენად, თუ რამდენად მაღალია ან დაბალია არსებული მონაცემები, საინტერესოა ორი ცვლადის შედარება და ურთიერთმიმართება ერთმანეთთან. ესენია: წევრების რაოდენობა და წლიური ფინანსური ბრუნვა.

თუ ავიღებთ კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების წევრთა ოდენობის საშუალო არითმეტიკულს, ეს არის 16 ადამიანი. პირველი სექტორში მოქცეული ორგანიზაციების საშუალო ფინანსური შემოსავალი კი 17.000 ლარს უტოლდება. შესაბამისად ცხრილის პირველ სექტორში მოხვედრილი ორგანიზაციის წევრთა საშუალო თვიური

შემოსავალი 1062,5 ლარს უდრის. რა თქმა უნდა ეს თანხა შეიცავს გარკვეულ უზუსტობებს, რადგან კონკრეტული ორგანიზაციები იურიდიული სტატუსიდან გამომდინარე არიან ე.წ „დღგ“-ს გადამხდელები, ხოლო ნაწილი არა, შესაბამისად დაახლოებითი თანხა შეგვიძლია ეს წარმოვიდგინოთ.

საინტერესოა ის, რომ გამოკითხული 50 ორგანიზაციიდან, მხოლოდ 6% ანუ 3 ორგანიზაცია ისეთი, რომელსაც წლიური ბრუნვა 1000.000 ლარი და ზემოთ აქვს. თუ ცხრილის ამ (ბოლო) სექტორიშიც გავაკეთებთ იგივე ანალიზს, ვნახავთ, რომ აქ ორგანიზაციის წევრის საშუალო შემოსავალი თვეში დაახლოებით მინუმუმ 5.208 ლარს შეადგენს. საინტერესოა, რომ ეს ციფრი მიახლოებით 5-ჯერ აღემატება ცხრილის პირველ სექტორში მყოფი ორგანიზაციის წევრის საშუალო თვიურ შემოსავალს.

ამ ნაწილში აუცილებლად აღსანიშნავია ის, რომ არსებულ კვლევაში ორგანიაციის წევრთა რაოდენობსა და ორგანიზაციის წლიურ ფინანსურ ბრუნვას შორის არ ფიქსირდება კორელაციური კავშირი. ეს გულისხმობს იმას, რომ წევრთა რაოდენობის ზრდა იმთავითვე არ იწვევს ორგანიზაციის ყოველწლიური ბიუჯეტის ზრდას ან პირიქით, გარდა ერთი გამონაკლისის - ეს გამონაკლისი არის, როდესაც ორგანიზაციის დაფინანსების მთავარი ან ერთ-ერთი მთავარი წყარო საწევროებია.

სწორედ ეს საკითხი - არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების წყაროები წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს კვლევისა, რადგან აქედან მიღებული მონაცემები გვაძლევს საინტერესო შედარებებისა და დასკვნების გაკეთების საშუალებას სხვა ცვლადებთან მიმართებით.

ცხრილი N5

არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების წყაროები, სტატისტიკური განაწილება



N5 ცხრილში წარმოდგენილია მონაცემები შემდეგი სისტემით: გამოყოფილია ხუთი სექტორი ფინანსებისა და თავისმხრივ თითოეული სექტორი ჩაშლილია თემატურად, მაგალითად: პირველი სექტორი ეს არის 150.000 – 200.000 ლარის მქონდე წლიური ბრუნვის ორგანიზაციები. კვლევაში მონაწილე ასეთი სულ 28 ორგანიზაციაა რაც შეადგენს სრული წილის 56%-ს. ამ ორგანიზაციების 39.2% ასახელებს რომ მისი მთავარი დამფინანსებელი წყარო ადილობრივი დონორი (არასამთავრობო ორგანიზაციებია), ხოლო 60.8% ადგილობრივი სამთავრობო ორგანიზაციებიდან იღებს დაფინანსებას.

ტენდენცია გვაჩვენებს, რომ თუ არასამთავრობო ორგანიზაციის ყოველწლიური ფინანსური ბრუნვა არ აღემატება 300.000 ლარს, მათი დამფინანსებლები არ არიან საერთაშორისო დონორი სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები. ხოლო იმ ორგანიზაციებს, რომელთა ყოველწლიური ფინანსური ბრუნვა აღემატება 400.000 ლარს, მათი მთავარი დონორები არიან საერთაშორისო ორგანიზაციები (როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო) და ისინი თანხებს ძალიან იშვითად იღებენ ან საერთოდ არ იღებენ საქართველოდან.

კვლევის ამ ნაწილში დგინდება კორელაცია ორ ცვლადს შორის - რაც გულისხმობს იმას, რომ თუ ორგანიზაციის ყოველწლიური დაფინანსება მაღალია (მაგ. 400.000 ლარს ზემოთ) მათი დამფინანსებელი საერთაშორისო უწყებებია. ხოლო მცირე მოცულობის ორგანიზაციების ძირითადი საშემოსავლო საყრდენი ადგიობრივი ორგანიზაციებია.

როგორც დასაწყისში აღინიშნა, ცხადია ფინანსები წარმოადგენს ერთ-ერთ გარდამტეხ ფაქტორს არასამთავრობო ორგანიზაციისთვის, რათა მას ჰქონდეს რაიმე კონკრეტული გავლენა ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკურ თუ სოციალურ პროცესებზე. ლოგიკურია, ფინანსებია ერთ-ერთი და ყველაზე მნიშვნელოვანი საფუძველი იმისა, რომ ორგანიზაცია მასშტაბურად გაიზარდოს და მას წარმომადგენლობები ჰყავდეს არა მხოლოდ დედაქალაქში, ან იმ ქალაქში სადაც მისი მთავარ ოფისი ფუნქციონირებს, არამედ ქვეყნის რეგიონალური მასშტაბით. ცხრილ N6-ში ნაჩვენებია სტატისტიკური განაწილება იმისა თუ რამდენად აქვთ კვლევაში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციებს რეგიონალური ოფისები.

ცხრილი N6



გამოკითხული არასამთავრობო ორგანიზაციათა სრულ უმრალეობას 96%-ს არ აქვს რეგიონალური ოფისები, ხოლო უმცირესობა 4%-ს აქვს. ის ორგანიზაციები (სულ 2) რომლებმაც დააფიქსირეს რეგიონალური ოფისების არსებობა, მათ თბილისის გარდა

ოფისები და წარმომადგენლობები გააჩნიათ შემდეგ რეგიონებში: „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“ GYLA: რუსთავი, თელავი, დუშეთი, გორი, ქუთაისი, ოზურგეთი, ზუგდიდი, ბათუმი. ხოლო „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებას“ ISFED: ქუთაისი, ბათუმი და გურჯაანი.

აღსანიშნავია, რომ რეგიონაულრი ოფისების არსებობასა და ორგანიზაციის „სოლიდურ“ წლიურ შემოსავალს შორის არ ფიქსირდება მაღალი კორელაციური კავშირი, რადგან 400.000 ლარს ზემოთ მყოფი ორგანიზაცია სულ კვლევაში ფიქსირდება 11 და აქედან მხოლოდ 2-ს აქვს რეგიონალური ოფისები.

კვლევის არსებული თავი გვაძლევს კარგ საშუალებას და საფუძველს იმისთვის, რომ არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით და მათი შერწყმით შემდგომ შინაარსობრივ საკითხებთან, გავაანალიზოთ და ავხსნათ თამაშობს თუ არა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები ორგანიზაცისთვის როლს იმაში, რომ მას ჰქონდეს ქვეყნის შიდა პოლიტიკურ სტაბილურობაზე პოზიტიური ან ნეგატიური გავლენა. ამისთვის შემდგომ თავში წარმოდგენილია არასამთავრობო ორგანიზაციების პროფილური სფეროები, პროექტები და ინიციატივები. ასევე გაანალიზებულა ის, თუ რამდენად შესაბამისობაშია ეს ყველაფერი პოლიტიკური სტაბილურობის განვითარებასთან ქვეყნის მასშტაბით და რამდენად იკვეთება ამ ორ ცვლადს შორის ურთიერთკავშირი.

პარაგრაფი 3.1 არასამთავრობო ორგანიზაციების ინსტიტუციური განვითარება

წინამდებარე კვლევაში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების ინსტიტუციური განვითარების დონის შეფასება შესაძლებელია შემდეგი კრიტირიუმების მიხედვით: (აღნიშნული კრიტერიუმები და ინდიკატორები აღებულია ნაშრომიდან „სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში :მიღწევები და გამოწვევები“ ავტორი - გია ნოდია, 2005წ).

- *საქმიანობა და გამოცდილება* - განხორციელებული პროექტების რაოდენობა, საქმიანობის გეოგრაფიული არეალი, საქმიანობის ფორმების მრავალფეროვნება, სახელმწიფო ხელისფლების სხვადასხვა შტოსთან თანამშრომლობა, მედიასთან ურთიერთობა;
- *ორგანიზაციის სტრუქტურა* - უფლება მოვალეობების გამიჯვნა, ორგანიზაციის შიდა მოწყობა, იერარქიული დიფერენციაცია;
- *ორაგნიზაციის მისა და სტრატეგია* - ორაგნიზაციის ნათლად ფორმულირებული მისია და დასახული მოქმედებების სტრატეგია
- *მატერიალურ-ტექნიკური ბაზა* - ორაგნიზაციის ყოველწლიური ფინანსური რესურსები და ტექნიკური შესაძლებლობები პროექტების განსახორციელებლად;
- *ადამიანური რესურსი* - წევრების რაოდენობა, კვალიფიციური და პროფესიონალ კადრთა არსებობა და მათი შენარჩუნება ორგანიზაციაში

ზემოაღნიშნულ ინფიკატორებზე დაყრდნობით კვლევაში მონაწილე ორმაცდაათი არასამთავრობო ორგანიზაცია დაჯგუფდა მათი ინსტიტიუციური განვითარების დონის მიხედვით. გამოიყო შემდეი სამი დონე:

3.1.1 პირველი დონის ორგანიზაციები

მსგავსი ტიპის ორგანიზაციებში, რომლებიც კონკრეტულ კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების ყველაზე მცირე ჯგუფს წარმოადგენენ, ახასიათებთ მკაცრად დაცული და გამიჯნული იერარქიული რგოლები ორგანიზაციის შიგნით. რაც გულისხმობს

გამგეობის ცალკე შტოდ გამოყოფას, ხოლო აღმსარულებელი რგოლის ცალკე შიდა სტრუქტურად არსებობას, რომელიც ყოველდღიურ გადაწყვეტილებებზეა პასუხისმგებელი ორგანიზაციაში. გამგეობის წევრობა, როგორც წესი ასეთი ტიპის ორგანიზაციებში არაანაზღაურებად საქმიანობას წარმოადგენს და იგი არ არის ჩართული ორგანიზაციის ყოველდღიური პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში. ორგანიზაციები რომლებიც მიეკუთნებიან პირველი დონის ჯგუფს, მათგან რამდენიმეს გამგეობაში უცხოელი ექსპერტები ან საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ჰყავთ გაწევრიანებული, რაც მათ მეტ პრესტიჟსა და გამჭირვალობას ანიჭებს.

ამ დონის ორგანიზაციებს საქმიანობის დიდი გამოცდილება აქვთ დაგროვებული, არსებობის განმავლობაში განხორციელებული აქვთ რამდენიმე ასეული პროექტი და ფინანსურ შკალაზე არიან ყველაზე მაღლა მოცემულ კვლევაში. ორგანიზაციები საკუთარი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას ყოველღიურად ავრცელებენ სხვადასხვა საშუალებებით, ძირითადად სოციალური მედიით. გამოსცემენ წლიურ ანგარიშებს, გააჩნიათ მოქმედი ვებ-გვერდი სადაც ინფორმაცია პერიოდულად ნახლდება, თანამშრომლობენ მედიასთან და მედიის ინტერესი მათდამი უფრო დიდია ვიდრე სხვა დაბალი დონის ორგანიზაციბზე.

ასეთი ორგანიზაციები მოქმედებენ მოკლევადიანი და გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმებით. აღსანიშნავია, რომ არსებობს შიდა შეაფასების და მონიტორინგის პროცედურები. ორგანიზაციას გააჩნია საკუთარი საქმიანობის მატერიალური და არამატერიალური არქივი.

არსებული კვლევის მეთოდოლოგიიდან და არასამთავრობო ორგანიზაციების ინსტიტუციური განვითარების ინდიკატორებიდან გამომდინარე, მოცემული 50 (ორმოცდაათი) ორგანიზაციიდან მხოლოდ 7 (შვიდი) მიესადაგა ე.წ *პირველი დონის არასამთავრობო ორგანიზაციებს*

3.1.2 მეორე დონის ორგანიზაციები

ამ დონის ორგანიზაციებში გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები ფორმალურადაა გამიჯნული, რაც გულისხმობს იმას, რომ ხშირ შემთხვევაში აღმასრულებელი დირექტორი და გამგეობის თავმჯდომარე ერთი და იგივე პიროვნებაა. ასეთ ორგანიზაციებს მართალია გააჩნიათ საკუთარი სოციალური სივრცე მედიაში, თუმცა მათი გვერდების უმეტესობა ხშირ განახლებას არ ექვემდებარება. თუმცა ამ დონის ორგანიზაციებშიც არსებობენ ჯგუფები, რომლებიც მაქსიმალურად ცდილობენ დაიცნვან ყველა ის სტანდარტი რომელიც მათ სამომავლოდ აქცევთ პირველი დონის ორგანიზაციებად, თუმცა პრობლემა როგორც წესი ფინანსებში, განხორციელებული პროექტების სიმწირეში და მედიის ინტერესის ნაკლებობაშია მათდამი. ორგანიზაციებს ხშირ შემთხვევაში გააჩნიათ მიზანი, თუმცა როგორც წესი იგი არ არის ჩამოყალიბებული მისიის განაცხადის ფორმით, მაგრამ გაერთიანებულია სხვადასხვა სახის ფორმალურ და არაფორმალურ დოკუმენტებში. სტრატეგიული დაგეგმვის პროცედურა არ არის დანერგილი, მეორე მხრივ არსებობს სამომავლო მიზნების სფეროს ზოგადი მონახაზი.

მეორე დონეში გაერთიანებული ორგანიზაციები პროექტების სიმრავლით ისე როგორც ეს პირველი დონის ორგანიზაციებში გვხვდება არ გამოირჩევიან, თუმცა მათი პროექტების რაოდენობა წლის განმავლობაში მცირე რაოდენობის ნამდვილად არ არის. აღსანიშნავია, რომ ასეთი ტიპის ორგანიზაციის პროექტები არ სცდება ერთ ქალაქს ან კონკრეტულ რეგიონს. მაშინ როცა პირველი დონის ორგანიზაციის გარკვეული პროექტები შესაძლოა საერთაშორისოც იყოს. ორგანიზაციებს გააჩნია განსაზღვრული გრძელვადიანი მიზანი. განხორციელებული საქმიანობის შეფასების პროცესი პროექტების ანგარიშებითა და შიდა ანგარიშების სისტემით შემოიფარგლება. ამ დონის ორგანიზაციები როგორც წესი ახერხებენ ოფისის დაქირავებას, თუმცა მათ არ გააჩნიათ სახსრები იმისა, რომ ჰყავდეთ წარმომადგენლობები სხვადასხვა რეგიონში.

მოცემულ კვლევაში მონაწილე 50 (ორმოცდაათი) არასამთავრობო ორგანიზაციიდან მეორე *დონის ორგანიზაციებს* შეესაბამება 14 (თოთხმეტი) ორგანიზაცია.

3.1.3 მესამე დონის ორგანიზაციები

მსგავსი ტიპის ორგანიზაციებში სტრუქტურა მხოლოდ წესდებით არის განსაზღვრული და როგორც წესი არ არსებობს გამოყოფილი მმართველი რგოლები. დამფუძნებლები, გამგეობის წევრები და თანამშრომლები ხშირად არიან ერთი და იგივე პირები. მათი უფლება მოვალეობების გამიჯვნა რთულია და პრაქტიკაშიც ისინი არ არის განცალკავებული. ორგანიზაციები რომლებიც მესამე დონეს მიეკუთნებიან, მათი მისია არ არის მკაფიო და ხედვა ხშირ შემთხვევაში ძალიან ზოგადია. არ არსებობს მსხვილი დონორების მიერ დაფინანსებით პროექტების განხორციელების გამოცდილება. მცირე მასშტაბის საქმიანობა მოხალისეობას ეყრდნობა. საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელება არ ხდება. არ არის დაგეგმვის და შეფასების პროცედურები.

ამ დონის ორგანიზაციების სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ურთიერთობა პირადი კონტაქტებით შემოფარგლება. ორგანიზაციებს ხშირ შემთხვევაში არ აქვთ ოფისი და ტექნიკური ბაზა. ადამიანური რესურსი ძირითადად შედგება გამგეობის თავმჯდომარითა და წევრებით, რომლებიც საკუთარ თავს მოხალისეებად აღიქვამენ. ორგანიაციები რომლები ამ დონეს მიეკუთნებიან არ აქცევენ ყურადღებას სოციალურ მედიაში აქტიურობას, არ გააჩნიათ მუდმივმოქმედი ვებ-გვერდი და მოსახლეობასთან კომუნიკაციის დონე საკმაოდ დაბალია.

თავი IV. არასამთავრობო ორგანიზაციების სამოქმედო არეალი და მათი წვლილი ქვეყნის შიდა პოლიტიკურ სტაბილურობაში

არასამთავრობო ორგანიზაციებს როგორც წესი გააჩნიათ ფართო სამოქმედო არეალი და საზოგადოებაში მათი სამიზნე სოციალური ჯგუფები საკმაოდ პლურალისტულია. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა, შესაბამისად კვლევის ამ ნაწილში უპირველეს ყოვლისა მნიშველოვანი იყო იმის დადგენა თუ რა სამუშაო პრიორიტეტები გააჩნიათ კვლევაში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციებს, რა ნაბიჯებს დგამდნენ წლების განმავლობაში ამ მიმართულებით და რამდენად მაღალია მათი რეკომენდაციების თუ მოთხოვნების იმპლემენტაციის კოეფიციენტი სახელისუფლებო ორგანოებში.

ცხრილ N7-ში წარმოდგენილია კვლევაში მონაწილე არასამთავრობო ორგანიაციების სამუშაო სფეროები (პრიორიტეტების მიხედვით) (იხ. ცხრილი N7)

ცხრილი N7



აღსანიშნავია, რომ ცხრილი შეიცავს სტატისტიკურ „გადაფარვებს“ - რაც გულისხმობს იმას, რომ მაგალითისათვის ადამიანის უფლებებზე მომუშავე 82%-ში შემავალი ორგანიზაციების გარკვეული ნაწილი შესაძლოა ასევე მუშაობდეს: ეკონომიკაზე, მედიაზე, არჩევნებზე და ა.შ

კვლევის ამ ნაწილში დადასტურდა, რომ საქართველოში არჩევნები და ადამიანის უფლებები, წარმოადგენს ორ პრიორიტეტულ და მნიშვნელოვან თემას არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რასაც რა თქმა უნდა აქვს მისი ახსნა.

თუ ცხრილ N7-ს დავაკვირდებით სამუშაო მიმართლებებში პირველი ადგილი 94% არჩევნებს უკავია. ანუ კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების აბსოლუტური უმრავლესობა ამ სფეროთია დაკავებული, მათ შორის ის ორგანიზაციებიც, რომლებიც გადია ე.წ დაბალ ფინანსურ შემოსავლიან არასამთავრობოებში (იხ. ცხრილი N4). არჩევნები როგორც ასეთი - მსგავსი ორგანიზაციებისთვის წარმოადგენს მთავარი შემოსავლის წყაროს, სადამკვირვებლო მისიებიდან და ამ პერიოდში სხვადასხვა აქტივობებიდან როგორც წესი ისინი იღებენ ძირითად სარგებელს. თუ ცხრილი N4-დან ვიხელმძღვანელებთ, პირველ და მეორე ფინანსურ სექტორში მოხვედრილი ორგანიზაციების მცირე წლიურ მიმოხილვას გავაკეთებთ, დავინახავთ, რომ მსგავსი

ტიპის არასამთავრობო ორგანიზაციები მხოლოდ არჩევნების დროს „იღვიძებენ“ და სადამკვირვებლო მისიის შესრულების შემდგომ, მომავალ არჩევნებამდე მათი აქტივობები იყინება, სწორედ ასეთი ორგანიზაციები მოხვდნენ ე.წ *მესამე დონის ორგანიზაციებში,* რომელიც პარაგრაფ 3.1-ში გამოიყო. ცხადია მსგავს არასამთავრობო ორგანიზაციებს ვერანაირი გავლენა ვერ ექნებათ ქვეყნის შიდა პოლიტიკურ სტაბილურობაში, რადგან მათი აქტივობები არამდგრადია.

არასამთავრობო ორგანიზაციის გავლენისთვის, ავტორიტეტის შექმნისთვის და იმგვარი იმიჯის ჩამოყალიბებისთვის, რომელიც შემდგომში ანგარიშგასაწევს გახდის სახელისუფლებო ორგანოეთან, მნიშვნელოვანია რამდენიმე კრიტერიუმის დაკმაყოფილება. ერთ-ერთ ასეთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს იმის გამორკვევა, თუ რამდენად ჰყავთ არასამთავრობო ორგანიზაციებს ე.წ „საპარლამენტო მდივანი“ და რამდენად ახორციელებენ ისინი საპარლამენტო მონიტორინგს. „საპარლამენტო მდივნის“ არსებობა არასამთავრობოთათვის აპრობირებულია ევროპის ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა: საფრანგეთი, გერმანია, ბელგია, ჰოლანდია, პოლონეთი, უნგრეთი, სერბეთი და სხვ. [3] (იხ.ცხრილი N8)

[3] Platform of European Social NGOs (2001) Retrived on June 27, 2018 from: http://ec.europa.eu/governance/contributions/social-ngos_en.pdf (DEMOCRACY, GOVERNANCE AND EUROPEAN NGOS, Building a Stronger Structured Civil Dialogue, 2001.)

ცხრილი N8



კვლევაში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციათა აბსოლუტური უმრავლესობა (94%) აფიქსირებს, რომ მას არ ჰყავს „საპარლამენტო მდივანი“ და შესაბამისად საპარლამენტო მონიტორინგისა და კვლევის საკითხებში გამომდინარე აქედან ვერ ერთვება, ხოლო უმცირესობა ორგანიაციების რაც 6%-ს წარმოადგენს, კითხვაზე დადებითად პასუხობს.

საყურადღებოა ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია, რომელიც გვაძლევს გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას. ზემოთ მოცემულ კითხვაზე დადებითი პასუხი დააფიქსირეს მხოლოდ იმ არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომელთა წლიური ფინანსური ბრუნვა აღემატება 100.000 ლარს (კვლევაში ასეთი სულ 3 ორგანიზაციია, ანუ საერთო ოდენობის 6%) (იხ.ცხრილი N4)

შესაბამისად აქაც იკვეთება ორ ცვლადს შორის პოზიტიური კორელაციური კავშირი, რაც გულისხმობს იმას, რომ ორგანიზაციის მაღალი ფინანსური უზრუნველყოფა განაპირობებს წარმომადგენლის ყოლას საკანონმდებლო ორგანოში. ამ ფაქტს ასევე ამყარებს რამდენიმე საჯარო მონაცემი, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების ვერ-გვერდებზე მოიპოვება. თუ გადავავლებთ იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს თვალს, რომლებსაც ჰყავთ „საპარლამენტო მდივანი“, მათი საშუალო ხელფასი თვიურად მერყეობს 4,500 – 5,000 ლარამდე. „საპარლამენტო მდივნის“ ეს

ყოველთვიური სარგო აღსანიშნავია, რომ წარმოადგნეს დაახლოებით 45-50%-ს ანუ ნახევარს, ე.წ დაბალი შემოსავლიანი ორგანიზაციების ყოველთვიური სარგოს წილს, რომლებიც ცხრილი N4-ის მიხედვით პირველ ან მეორე სექტორში არიან მოქცეული, (იხ. ცხრილი N4)

სამი ორგანიზაციიდან, რომლებსაც ჰყავთ საპარლამენტო მდივანი - მათ ეს ორგანიზაციულ-სტურქტურული ერთეული შემოიღეს: პირველმა 2009 წელს ხოლო დარჩენილმა ორმა 2011 წელს.

არასამთავრობო ორგანიაციებს, რომლებსაც პრეტენზია აქვთ ქვეყანაში შეასრულონ ე.წ "opinion maker"-ების როლი, დიდ ყურადღებას უთმობენ ყოველწლიურ შემაჯამებელ ანგარიშებს. მსგავსი დოკუმენტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დანიშნულება და მისია არის რეკომენდაციების გაცემა იმ სახელისუფლებო უწყებებისთვის, რომელთა კომპეტენციის სფერო შედის ამა თუ იმ ორგანიზაციის საქმიანობაში. (იხ. ცხრილი N9)

ცხრილი N9

ქვემოთ ჩამოთვლილ წლებში ჰქონია თუ არა ორგანიაციას ყოველწლიური ანგარიშები?



ცხრილ N9-დან ირკვევა, რომ 2012 წლიდან კვლევაში მონაწილე ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას ყოველწლიურად აქვს წლიური ანგარიში. რაც შეეხება 2012 წლამდე პერიოდს, აქ დადებითი პასუხი გვხვდება იმ ორგანიზაციების, რომლებიც იმ დროს

იყვნენ დაარსებული, შესაბამისად პროცენტული მაჩვენებლის კლება ამ წლებში გამოწვეულია სწორედ ამ მიზეზის გამო.

ცხრილიდან ასევე ვლინდება რამდენიმე საყურადღებო ტენდენცია. პირველი ის, რომ ორგანიზაციის ფინანსები და წლიური ანგარიშის დამზადება არანაირ კორელაციაში არ არის ერთმანეთთან, რადგან ყველა ფინანსურ სექტორში მოხვედრილ ორანიზაციას ჰქონია წლიური ანგარიშები 2008 წლიდან დღემდე (დაარსების წლის გათვალისწინებით) (იხ. ცხრილი N1)

ასევე აღსანიშნავია ის, რომ ორგანიზაციის აქტიურობის დონე, არ განსაზღვრავს საბოლოო ანგარიშის ქონა არ ქონას - რაც უცნაური, მაგრამ გამოკვეთილი ტენდენციაა.

არასამთავრობო ორგანიზაციების საბოლოო ანგარიშების ერთ-ერთი მთავარი და გამოკვეთილი მიზანი, როგორც აღინიშნა არის სახელისუფლებო ორგანოებისთვის ხმის მიწვდენა და სხვადასხვა ხარვეზულ საკითხებზე რეკომენდაციებისა და პრობლემის გადაჭრის მათეული შეთავაზება. შემგომში კი საინტერესოა, როგორი კოეფიციენტი აქვთ წლების განმავლობაში არასამთავრობო ორგანიზაციებს მათი რეკომენდაციების გათვალისწინების მიმართულებით. (იხ. ცრილი N10)

ცხრილი N10



ცხრილ N10-ზე დაყრდნობით შეგიძლია ვთქვათ, რომ სახელისუფლებო უწყებებიდან ყველაზე ჩაკეტილ სამინისტროდ იუსტიციის და თავდაცვლის სამინისტროები გვევლინებიან, რადგან 2008 წლიდან 2017 წლამდე, კვევაში მონაწილე არც ერთ ორგანიზაციას არ დაუსახელებია (გარდა ერთი გამონაკლისის გარდა, 2015 წელს 6% ასახელებს თავდაცვის სამინისტროს) ეს სამინისტრობი, როგორც რეკომენდაციის გამთვალისწინებელ დაწესებულებებად.

არასამთავრობო ორგანიზაციათა რეკომენდაციების ყველაზე ხშირი ამსახავი საკუთარ საქმიანობაში 2008-17 წლებში აღმოჩნდა, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, რომელიც შესაძლოა ჩაითვალოს ყველაზე ღია სამინისტროდ მოცემულებიდან. თუმცა აქაც აღსანიშნავია ის, რომ 2012 წლის შემდგომ იწყება ამ სამინისტროს დასახელება ზემოაღნიშნულ ცხრილში.

ასევე აშკარა ტენდენციაა ის, რომ ე.წ ძალოვანი სამინისტროები ძალიან იშვიათად და თითქმის არასდროს (განსაკუთებით 2012 წლამდე) არ ითვალისწინებდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციებსა და მოთხოვნებს.

საკმაოდ საინტერესო ტენდენცია და ორ ცვლადს შორის მაღალი კორელაციური კავშირი იკვეთება - რაც უფრო მეტია არასამთავრობო ორგანიზაციის ყოველწლიური ფინანსური ბრუნვა, მით უფრო მაღალია არსებული ორგანიზაციის რეკომენდაციების იმპლემენტაციის კოეფიციენტი. მაგალითად, თუ გავაანალიზებთ ცხრილ N4-ისა და ცხრილ N10-ის ურთიერთმიმართებას, ვნახავთ, რომ ის ორგანიზაციები რომლებიც შედიან მე-4, მე-5 და მე-6 ფინანსურ სექტორში (იხ. ცხრილი 4) სწორედ მათ რეკომენდაციებს ითვალისწინებენ სამინისტროები, ხოლო პირველ სამ ფინანსურ სექტორში მოქცეული ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინება არასდროს მომხდარა არც ერთი სამინისტროს მიერ (იხ.ცხრილი N10)

კვლევის ეს ნაწილი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს და ადასტურებს იმას, რომ არასამთავრობო ორგანიზაციის ყოველწლიური ფინანსური ბრუნვა ხშირ შემთხვევაში ხდება განმაპირობებელი მიზეზი მისი გავლენებისა.

პარაგრაფი 4.1 არასამთავრობო ორგანიზაციების როლი სახელმწიფოს პოლიტიკურ სტაბილურობაში (მსოფლიო ბანკის სტატისტიკური მონაცემები, საქართველო)

მსოფლიო ბანკი (World Bank) ყოველწლიურად აწარმოებს მასშტაბურ კვლევებს მსოფლიოს ყველა სუვერენული სახელმწიფოსთვის სხვადასხვა მიმართულებით. არსებული კვლევისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცვლადს წარმოადგენს *პოლიტიკური სტაბილურობა,* შესაბამისად იმის დასადგენად თუ კონკრეტულ პერიოდებში როგორი იყო პოლიტიკური სტაბილურობის დონე საქართველოში, საინტერესოა გაანალიზდეს მსოფლიო ბანკის მონაცემები და მეორე მხრივ შედარდეს იგი USAID-ის მიერ ჩატარებულ კვლევებს არასამთავრობო ორგანიზაციების მდგრადობის ინდექსთან (NGOs Sustainability Index). ზემოაღნიშნული შედარება ნათელ სურათს გვაძლევს დავინახოთ თუ როგორი დინამიკაა ამ ორ ცვლადს შორის 90-იანი წლებიდან დღემდე და მოცემულ ქრონოლოგიურ ჩარჩოში საშუალოდ რა რაოდენობრივი ინდექსი აქვს საქართველოს, როგორც პოლიტიკური სტაბილურობის თვალსაზრისით, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების მდგრადი განვითარების კუთხით.

ცხრილი N11



(*Source: World Bank, Political Stability Index in Georgia 1996-2017 years, Retrieved on June 17, 2019 from: https://www.theglobaleconomy.com/Georgia/wb_political_stability/*).

პოლიტიკური სტაბილურობის ინდექსი მსოფლიო ბანკის ინდიკატორებით ეყრდნობა სხვადასხვა საკითხების კვლევას სახელმწიფოს შიგნით, ესენია: კანონის უზენაესობა, მთავრობის ეფექტურობა, რეგულაციების ხარისხი, ანგარიშვალდებულება, კორუფციასთან ბრძოლა - გამჭირვალობა, პოლიტიკური უფლებები, სამოქალაქო თავისუფლება, ქალების რიცხვი პარლამენტში.

მსოფლიო ბანკის პოლიტიკური სტაბილურობის ინდექსი ციფრობრივად მერყეობს -2.5 დან 2.5 კოეფიციენტამდე, სადაც მინუს ნიშნული აღნიშნავს პოლიტიკური სტაბილურობის გაუარესებას, ხოლო დადებითი ინდექსი პოლიტიკური სტაბილურობის მაღალ დონეს. აღსანიშნავია, რომ ცხრილ N11-ში წარმოდგენილი მონაცემებიდან საქართველოში 1996 წლიდან 2017 წლამდე პოლიტიკური სტაბილურობის საშუალო კოეფიციენტი/ინდექსი არის -0.86. ცხადია მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია და იგი განპირობებულია 90-იან წელბში სტაბილურად დაბალი კოეფიციენტის არსებობით, რომელიც აიხსნება ქვეყანაში არსებული სამოქალაქო ომით, სხვადასხვა პოლიტიკური თუ სამოქალაქო დაპირისპირებებით და სახელმწიფო ინსტიტუციების მოშლილობით. -0.86 კოეფიციენტი საშუალო მაჩვენებლიდან გამომდინარე მსოფლიოს ტოპ 150-ეულში შედის და ახლოს დგას 2017 წლის ისრაელის და ინდოეთის მონაცემებთან (World Bank, Political Stability Index, Retrieved on June 17, 2019 from: https://www.theglobaleconomy.com/rankings/wb_political_stability/).

1996-2017 წლების პერიოდში საქართველოში ყველაზე დაბალი პოლიტიკური სტაბილურობის ინდექსი დაფიქსირდა 1998 წელს -1.64 ხოლო ყველაზე მაღალი -0.31 კოეფიციენტი 2016 წელს. (Source: World Bank, Political Stability Index in Georgia, Retrieved on June 17, 2019 from: https://www.theglobaleconomy.com/Georgia/wb_political_stability/).

წინამდებარე კვლევის ფარგლებში ექსპერტულ ინტერვიებთან ერთად გაიმართა სიღრმისეული ინტერვიუები სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის თანამშრომლებთან - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის წარმომადგენლის მიერ შეფასდა სხვადასხვა საკითხები რომელიც იყო დაკავშირებული სახელმწიფოს შიდა პოლიტიკურ სტაბილობასთან, ასევე რამდენად მნიშვნელოვანია სახელმწიფოსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის კონფლიქტების პრევენცია და უწყობს თუ არა იგი ხელს პოლიტიკური სტაბილურობის დონის ამაღლებას სახელმწიფოში - „პოლიტიკური სტაბილურობა რამდენიმე კრიტერიუმით და ინტიკატორით შეგვიძლია შევაფასოთ, თუმცა ყველაზე ფართოდ გავრცელებული და აპრობირებული მეთოდია დავეყრდნოთ მსოფლიო ბანკის ყოველწლიურ მონაცემებს, სადაც თუ თქვენ კარგად დააკვირდებით და დინამიკას გადაავლებთ თვალს 2010 წლიდან დღემე საქართველოს ინდექსი მზარდია და ჩვენ სტაბილურად მივდივართ წინ ამ მიმართულებთ. რაც შეეხება კითხვას თუ რამდენად მნიშვნელოვანია არასამთავრობო ორგანიზაციების ავტონომიისა და დამოუკიდებლობის არსებობა, ცხადია პასუხი ცალსახაა, დამოუკიდებელი მესამე სექტორის არ არსებობას სახელმწიფო მიჰყავს ავტორიტარიზმისკენ, შესაბამისად როდესაც არ არსებობობს დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციები ან ე.წ watchdog-ები ბიუროკრატთა გადაწყვეტილებებში მეტი შეცდომები შეგვიძლია დავინახოთ, ასევე მნიშვნელოვანია კონფლიქტების დარეგულირება მათ შორის, რადგან არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სახელწმიფოს შორის კონფლიქტი საკმაოდ არათანაბარ და არათანასწორ პირობებში წარიმართება ხოლმე და ეს რამდენიმე სხვა ქვეყნის მაგალითზე დასტურდება, შესაბამისად კონფლიქტის გამარჯვებული როგორც ასეთი არ შეიძლება არსებობობდეს ამ ორ სუბიექტს შორის. გამარჯვებული შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატია და დემოკრატიული პროცესი, რომელიც მათ შორის პოლიტიკური სტაბილურობის პროგრესის საწინდარია“

ცხრილი N12



(*Source: USAID, NGO Sustainability Idex for Central and Eastern Europe and Eurasia 14th Edition – November 2011*).

ცხრილ N12-ში წარმოდგენილია არასამთავრობო ორგანიზაციების მდგრადობის კოეფიციენტი 1998 წლიდან 2010 წლამდე პერიოდში. განსხვავებით მსოფლიო ბანკის პოლიტიკური სტაბილურობის ინდექსის მონაცემებისა, USAID-ის მონაცემებში დაბალი ინდექსი ნიშნავს დადებით მდგრადობას, ხოლო მაღალი ინდექსი ნიშნავს რეგრესიას. შესაბამისად, ცხრილიდან ირკვევა, რომ ამ პერიოდში ყველა მდგრადი არასამთავრობო სექტორი საქართველოში იყო 1998 წელს. შემდეგ წლებში ვხედავთ გაუარესებას და 2004 წლიდან იწყება სტაბილური მცირე პროგრესის ეტაპი.

მსოფლიო ბანკის პოლიტიკური სტაბილურობის ინდექსისა და USAID-ის არასამთავრობო ორგანიზაციების მდგრადობის ინდექსის შედარებიდან გამოიკვეთა ერთი საინტერესო ფაქტი. წელი როდესაც საქართველოში ყველაზე დაბალი პოლიტიკური სტაბილურობა დაფიქსრიდა 1998 წელს -1.64, ამ წელს USAID-ის მონაცემებით არასამთავრობო ორგანიზაციების ყველაზე მაღალი მდგრადობის ინდექსი დაფიქსირდა, კერძოდ 3.4.

არსებული მონაცემთა ანალიზიდან გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება. პირველ რიგში აღსანიშვანია, ის რომ არ ფიქსრიდება პოზიტიური კორელაციური კავშირი ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ სტაბილურობასა და არასამთავრობო

ორგანიზაციების მდგრადობის ინდექსს შორის. დამატებით გამოიკვეთა, რომ 90-იანი წლები პოლიტიკური სტაბილურობის თვალსაზრისით და არამხოლოდ, წარმოადგენდა შავ ლაქას საქართველოსთვის, რომლის მიერ გამოწვეულ შედეგებსაც დღესაც უმკლავდება, როგორც სახელმწიფო ასევე არასამთავრობო სექტორი.

დასკვნა

არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევა უკავშირდება კომპლექსურ და სენსიტუირ საკითხებს, მათი არამდგრადი და ცვალებადი მოწყობიდან გამომდინარე, მით უფრო როდესაც საუბარია ხანგრძლივ პროცესზე. ამ შემთხვევაში რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგიის მთავარი ფოკუსი მიმართული იყო „აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმაზე“ რომელიც შეიქმნა 2012 წელს და იგი საქართველოში არის ყველაზე დიდი კოალიციური პლატფორმა სადაც გაერთიანებულია 181 არასამთავრობო ორგანიზაცია. არსებულიდან შეირჩა 50 არასამთავრობო ოგანიზაცია, რომელთა წარმომადგენლებთან გაიმართა პირისპირი ინტერვიუები და მიღეული შედეგები გაანალიზდა. კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენდა დადგენილიყო თუ რამდენად აქვთ გავლენა არასამთავრობო ორგანიზაციებს საქართველოში პოლიტიკურ სტაბილურობაზე და რა ფაქტორები ახდენს გავლენას მათზე.

ნაშრომის მონაცემთა ანალიზის დასაყისში განხილულია არასამთავრობო ორგანიზაციების ფუნქციებისა და მისიის ტრანსფორმაცია ქართულ რეალობაში. წლების განმავლობაში არასამთავრობო სექტორის როლი და ფუნქციები ტრანსოფრმირდებოდა და ცვლილებებს განიცდიდა, ამ პროცესში გარდამტეხი აღმოჩნდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები, როდესაც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად მოხდა ხელისუფლების არჩევნების გზით გადაბარების პროცესი. ამის შემდგომ იწყება პოლიტიკური სტაბილურობის საკითხის აქტუალიზაცია და პრიორიტეტიზაცია, საზოგადოების ყველა რგოლისთვის, მათ შორის ხელისუფლებისთვისაც. 2012 წლის შემდგომი პერიოდი, რომ პოლიტიკური სტაბილურობისთვის და არასამთავრობო ორგანიზაციების მდგრადი განვითარების თვალსაზრისით პოზიტიურად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა დაადასტურა მსოფლიო ბანკისა (World Bank) და USAID-ის კვლევების მონაცემებმა.

კვლევის შემდეგ ეტაპზე გაანალიზდა არასამთავრობო ორგანიზაციების სტრუქტურულ-ფინანსური საკითხები, სადაც გამოიკვეთა საინტერესო მიგნებები.

პირველ რიგში, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კვლევაში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციათა უმრავლესობა 34% დაარსებულია 2012 წელს. ეს ციფრი შემთხვევითი არ არის, რადგან საჯარო რეესტრის ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ 2012 წელი გამოირჩეოდა არამხოლოდ არაკომერციული არასამეწარმეო იურიდიული პირების რეგისტრაციის სიმრავლით, არამედ სხვა იურიდიული სტატუსის მქონე პირთა რეგისტრაციის ზრდადობითაც, სხვა წლებთან შედარებით. ამის მთავარ მიზეზს, როგორც კვლევაში უკვე აღინიშნა 2012 წელს გამართული საპარლამენტო არჩევნები წარმოადგენდა, სადაც დემოკრატიული საქართველოს ისტორიაში პირველად მოხდა ხელისუფლების შეცვლა არჩევნების გზით. კვლევის ნაწილში აუცილებლად აღსანიშნავია ის, რომ არებულ კვლევაში ორგანიაციის წევრთა რაოდენობსა და ორგანიზაციის წლიურ ფინანსურ ბრუნვას შორის არ დაფიქსირდა კორელაციური კავშირი. ეს გულისხმობს იმას, რომ წევრთა რაოდენობის ზრდა იმთავითვე არ იწვევს ორგანიზაციის ყოველწლიური ბიუჯეტის ზრდას ან პირიქით, გარდა ერთი გამონაკლისის გარდა - ეს გამონაკლისი არის, როდესაც ორგანიზაციის დაფინანსების მთავარი ან ერთ-ერთი მთავარი წყარო საწევროებია.

რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციათა დაფინანსებას და მათ ყოველწლიურ ფინანსურ ბრუნვას. ორგანიზაციები დაიყო ექვს ფინანსურ სექტორში. პირველი ფინანსური სექტორი რომელიც შეადგენდა ყველაზე მცირე შემოსავლიანობას (150.000 – 200.000) სწორედ აქ არის წარმოდგენილი კვლევაში მონაწილე ორგანიზაციათა უმრავლესობა/ნახევარზე მეტი 56%. თუ მოცემული ექვსი სექტორიდან პირველ სამს ჩავთვლით მცირე შემოსავლიან ორგანიზაციებს, ხოლო ბოლო სამ სექტორს მაღალ შემოსავლიან ორგანიზაციებად (იხ. ცხრილი N4) მივიღებთ იმას, რომ დაბალშემოსავლიან ორგანიაციებში ერთიანდება 78% ორგანიზაციებისა, ხოლო მაღალშემოსავლიანებში შესაბამისად 22%.

არასამთავრობო ორგანიზაციები კვლევის ფარგლებში ასევე დაიყო დონეების მიხედვით, გამოიყო სამი დონე სადაც ორგანიზაციები გაერთიანდნენ მათი ინსტიტუციური განვითარების მიხედვით. პირველი დონის ორგანიზაციებში (რომელიც ყველაზე მაღალ განვითარების დონეს აღნიშნავს კვლევაში) მოხვდა შვიდი

ორანიზაცია, მეორე დონეში თოთხმეტი ორგანიზაცია, ხოლო ბოლო ანუ მესამე დონის ორგანზაციებში გაერთიანდა ოცდაცხრა არასამთავრობო.

ის არასამთავრობოები, რომლებიც არსებულ კვლევაში შემოთავაზებული კლასიფიკაციის მიხედვით ითვლებიან ფინანსურად ძლიერ ორგანიზაციებად, არიან ანგარიშგასაწევი ძალა კონკრეტული სამინისტროებისთვის. განსხვავებით იმ ორგანიზაციებისგან, რომლებიც დაბალშემოსავლიანები არიან და მათი ფინანსები ფაქტობრივად შეიძლება ითარგმნოს მათ გავლენებად.

კვლევის ამ ნაწილში შეიძლება ითქვას, რომ გამოთქმული ჰიპოთეზა ფაქტობრივად დადასტურდა, რომელიც ეხებოდა არასამთავრობო ორგანიზაციების ფინანსების კავშირსა და მათ გავლენას ქვეყნის შიდა პოლიტიკურ სტაბილურობაზე.

ფაქტია ასევე ისიც, რომ ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა ყოველწლიური ფინანსური ბრუნვა უტოლდება 1000.000 ლარს და იზრდება, მათი უპირველესი და მთავარი დონორი ორგანიაციები არიან ქვეყნის გარედან, რაც ავტომატურად იწვევს უცხოური დღის წესრიგის შემოტანას ქართულ არასამთავრობო სექტორის საქმიანობაში და მიზნებში.

კვლევის სპეციფიკამ აჩვენა, რომ საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციათა განვითარება მოხდა სპონტანურად, არასტრუქტურირებულად და ირაციონალურად - ამ ყველაფერმა კი გამოიწვია არასამთავრობო სექტორში ფინანსური მონოპოლიზაცია, რაც ცხადია აისახა მათ შორის ისეთ საკითხში როგორიცაა არასამთავრობოების, როგორც ცალკე მდგომი სექტორის როლი ქვეყნის შიდა პოლიტიკურ სტაბილურობაში, მათ დამოუკიდებლობაში და ეფექტურ ფუნქციონირებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნოდია, გ. (2005). სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები. თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი
2. Matei, A., Apstou, D.C., C.(2014). The Relationship Between State and Non-Governmental Organizations. Social and Behavioral Sciences, 143, (2014). 847 – 851
3. Lili Di Puppo (2010) Anti-corruption interventions in Georgia, Global Crime, 11:2, 220-236, DOI: 10.1080/17440571003669233
4. მესამე სექტორის საზოგადოებრივი იმიჯი. (2003). თბილისი, მშვიდობის დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი
5. Tusalem, Rollin F. (2015) "Democracies, Autocracies, and Political Stability," International Social Science Review: Vol. 90: Iss. 1, Article 1.
6. Fontes Filho, J., Getulio Vargas, F., C.(2017). Role and limitations of NGOs in partnership with the state. ISSN edici´on web: 0719-6296, Universidad de Chile, Santiago (Chile)
7. Bebbington, A., Mitlin, D. (1996) NGO Capacity and Effectiveness: A Review of Themes in NGO-related Research Recently Funded by ESCOR. IIED.London.
8. Brown, B (1995) Results-based Management: Danger or Opportunity ? Lessons from the CIDA Experience
9. Davies, R.J. (1995b) The Management of Diversity in NGO Development Programmes. Centre for Development Studies, Swansea
10. Moore, M (1994) Institution Building As A Development Assistance Method: A Review of the Literature and Ideas. A Report to the Swedish International Development Authority (SIDA). IDS. Sussex.
11. Hugh-Jones, D. (2010). Interstate Competition and Political Stability. Jena, Germany: Max Planck Institute of Economics
12. Arnove, R.F., Rachel, C., (1998). NGO-State Relations: An Argument in Favor of the Stateand Complementarity of Efforts, Iniana University

13. Macharashvili, N. Basilaia, E., & Tangiashvili, N. (2015) Policy Advocacy Success in Georgia: The Role and Limitations of NGOs in InfluencingPublic Policy. Tbilisi, Georgia
14. Dryzek, John S., and Simon Niemeyer. 2006. "Reconciling Pluralism and Consensus as Political Ideals." American Journal of Political Science 50(3): 634–49
15. Hong, Lu, and Scott E. Page. 2004. "Groups of Diverse Problem Solvers Can Outperform Groups of High-Ability Problem Solvers." Proceedings of the National Academy of Sciences of the United States of America 101(46): 16385–89.
16. Popper, Karl R. 2013. The Open Society and Its Enemies. Princeton, NJ: Princeton University Press.
17. Kogelmann, Brian. 2017. "Justice, Diversity, and the WellOrdered Society." The Philosophical Quarterly 67(269): 663–684, https://doi.org/10.1093/pq/pqw082
18. Sparrow, Robert. 2016. "If People Were Movies? Free Speech and Free Association." Journal of Political Philosophy 24(2):227–44.
19. Roger A. Ritvo,Berdzenishvili, G. Khazalia, N. Khidasheli, M. Liqokeli, A. and Samkharadze, S. (2013). Public attitudes toward non-governmental organizations (NGOs) in the Republic of Georgia, Auburn University Montgomery, USA. Tbilisi State University, Georgia. DOI: 10.5897/INGOJ12.0100, ISSN 1993–8225
20. Aksartova S (2006). Why NGOs? How American Donors Embraced Civil Society After the Cold War. Int. J. Not-for-Profit Law. May 2006. Accessed December 23, 2011. www.icnl.org/knowledge/ijnl/vol8iss3/ special_4.htm. 8:3
21. Corso M (2010). Georgia: Women Mostly Accept Triple Burden of Home, Hearth and Career. eurasianet.org. March 7, 2010. Accessed November 8, 2012. http://www.eurasianet.org/departments/civil society/articles/eav030810b.shtml.
22. East West Management Institute - G-PAC (2011). Policy, Advocacy and Civil Society Development in Georgia. Citizens' Attitudes toward Civil Society Organizations (CSOs) and Civic Activism. Public Opinion Survey Results. Tbilisi, Georgia. Accessed October 1, 2012. www.ewmi-gpac.org p. 5.
23. Kharatiani K, Khatuna N, Jaba D, Irina B, Shalva B (2004). Assessment of NGOs Organizational Development in Georgia. Paper presented at ISTR Sixth International

Conference, Toronto, Canada, July 11-14, 2004. Accessed October 10, 2012. http://atlas-conferences.com/c/a/m/l/26.htm.

დანართები

კითხვარი (დანართი N1)

გამარჯობა, მე გახლავართ ტატო ირემაძე - ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი. სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ვახორციელებ კვლევას თემაზე: ***„არასამთავრობო ორგანიზაციების როლი ქვეყნის შიდა პოლიტიკურ სტაბილურობაში (საქართველოს მაგალითზე)“***

კითხვარში არ ფიქსირდება თქვენი პირადი მონაცემები, შესაბამისად თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა დაცული იქნება. გთხოვთ, გამოიჩინოთ გულისხმიერება და გულწრფელად უპასუხოთ დასმულ შეკითხვებს. ინტერვიუს მონაცემები გამოყენებული იქნება მხოლოდ განზოგადობული სახით, სტატისტიკური დასკვნების მისაღებად. კვლევა ემსახურება მხოლოდ სამეცნიერო მიზნებს

დიდი მადლობა თანამშრომლობისათვის!

I.საინფორმაციო ბლოკი

I1. მიუთითეთ თქვენი ორგანიზაციის სრული დასახელება:

_____

I2. რომელ წელს დაარსდა თქვენი ორგანიზაცია?

_____

I3. მიუთითეთ თქვენი ორგანიზაციის სამოქმედო არეალები:

1. ადამიანის უფლებები
2. ეკონომიკა
3. ენერგეტიკა
4. არჩევნები
5. მედია
6. უსაფრთხოება
7. გარემოს დაცვა

   სხვა (**მიუთითეთ**) _____

I4. მიუთითეთ თქვენი ამჟამინდელი პოზიცია ორგანიაციში:

1. გამგეობის თავმჯდომარე
2. აღმასრულებელი დირექტორი
3. აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე
4. გამგეობის წევრი
5. ორგანიზაციის წევრი
6. დროებით დაქირავებული თანამშრომელი

   სხვა (**მიუთითეთ**) _____

I5. რამდენი წევრისგან შედგება თქვენი ორგანიზაცია?

1. 50-100
2. 150-200
3. 250-300
4. 350-400
5. 450-500

   სხვა (მიუთითეთ) _____

I6. რამდენია თქვენი ორგანიზაციის წლიური ფინანსური ბრუნვა (ვალუტა: ლარი) ?

1. 10 000 - 20 000
2. 30 000 - 40 000
3. 50 000 – 100 000
4. 150 000 – 200 000
5. 250 000 – 300 000

   სხვა (მიუთითეთ) _____

I7. აქვს თუ არა ორგანიზაციას რეგიონული ოფისები? (პასუხი 1.კი-ს შემთხვევაში, გთხოვთ მიუთითოთ რეგიონის დასახელებები)

1. კი (მიუთითეთ რეგიონები)

   _____

   _____
2. არა

P.პოლიტიკური სტაბილურობის ბლოკი

P1. მუშაობს თუ არა თქვენი ორგანიზაცია მართმსაჯულების საკითხებზე?

1. კი
2. არა
3. სხვა (მიუთითეთ) _____

P2. ჩართულია თუ არა თქვენი ორგანიზაცია საპარლამენტო მონიტორინში? (გყავთ თუ არა „საპარლამენტო მდივანი“?)

1. კი
2. არა
3. სხვა (მიუთითეთ) _____

P3. ჩართულია თუ არა თქვენი ორგანიზაცია მედია მონიტორინგის საკითხებში?

1. კი
2. არა
3. სხვა (მიუთითეთ) _____

P4. ახორციელებს თუ არა თქვენი ორგანიზაცია სადამკვირვებლო მისიებს არჩევნების პერიოდში?

1. კი
2. არა
3. სხვა (მიუთითეთ) _____

P4. მუშაობს თუ არა თქვენი ორგანიზაცია კორუფციის კვლევისა და მონიტორინგის საკითხებზე?

1. კი
2. არა
3. სხვა (მიუთითეთ) _____

P5. აქვს თუ არა ორგანიზაციას ყოველწლიური ანგარიშები?

1. კი
2. არა
3. სხვა (მიუთითეთ) _____

P6. რამდენად ხშირად ხდება თქვენი ორგანიზაციის რეკომენდაციების იმპლემენტაცია აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ?

1. ყოველთვის
2. თითქმის ყოველთვის
3. უფრო კი ვედრე არა
4. უფრო არა ვიდრე კი
5. იშვიათად
6. არასდროს

P7. რამდენად ხშირად ხდება თქვენი ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინება საკანონმდებლო (პარლამენტის,საკრებულოების) ხელისუფლების მიერ?

1. ყოველთვის
2. თითქმის ყოველთვის
3. უფრო კი ვიდრე არა
4. უფრო არა ვიდრე კი
5. იშვიათად
6. არასდროს

P8. მიუთითეთ რომელი უწყება(ები) ითვალისწინებენ თქვენს რეკომენდაციებს/ინიციატივებს ყველაზე ხშირად?

1. იუსტიციის სამინისტრო
2. შ.ს სამინისტრო
3. თავდაცვის სამინისტრო
4. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
5. საგარეო საქმეთა სამინისტრო
6. ენერგეტიკის სამინისტრო
7. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
8. სხვა (**მიუთითეთ**)

   _____

P9. მონაწილეობდა თუ არა თქვენი ორგანიზაცია საერთო სამოქალაქო კამპანიაში „ეს შენ გეხება - ისევ გვისმენენ"?

1. კი
2. არა
3. სხვა (**მიუთითეთ**) _____

P10. თქვენი აზრით (ორგანიზაციის ოფიციალური პოზიცია) დღევანდელი კანონი მოსმენების შესახებ:

1. სრულიად სამართლიანია
2. უფრო სამართლიანია ვიდრე უსამართლო
3. უფრო უსამართლოა ვიდრე სამართლიანი
4. სრულიად უსამართლოა
5. სხვა (**მიუთითეთ**) _____

P11. იმისათვის რომ გამოხატვის უფლება არ შეიზღუდოს საქართველოში, ჩვენი ორგანიზაცია დგამდა/დგამს შემდეგ ნაბიჯებს, ახორციელებს შემდეგ პროგრამებს/პროექტებს:

(გთხოვთ აღწეროთ მოკლედ)

P12. იმისათვის რომ საქართველოში არსებობდეს ანგარიშვალდებული სახელისუფლებო შტოები, ჩვენი ორგანიზაცია დგამდა/დგამს შემდეგ ნაბიჯებს, ახორციელებს შემდეგ პროგრამებს/პროექტებს:

(გთხოვთ აღწეროთ მოკლედ)

P.13 იმისათვის რომ „საჯარო ძალადობისა“ და ტერორიზმის ფაქტები თავიდან იქნეს აცილებული, ჩვენი ორგანიზაცია დგამდა/დგამს შემდეგ ნაბიჯებს, ახორციელებს შემდეგ პროექტებს/პროგრამებს:

(გთხოვთ აღწეროთ მოკლედ)

P.14 იმისათვის რომ მთავრობის ეფექტიანობა გაიზარდოს ჩვენი ორგანიზაცია მუშაობს შემდეგი მიმართულებებით:

(გთხოვთ აღწეროთ მოკლედ)

P15. იმისათვის რომ საქართველოს პარლამენტის მიერ შემოღებული რეგულაციების ხარისხი გაიზარდოს, ჩვენი ორგანიზაცია დგამდა/დგამს შემდეგ ნაბიჯებს, ახორციელებს შემდეგ პროექტებს/პროგრამებს:

(გთხოვთ აღწეროთ მოკლედ)

P16. იმისათვის რომ სასამართლო სისტემა იყოს მეტად მოქნილი და გამჭირვალე, ჩვენი ორგანიზაცია დგამდა/დგამს შემდეგ ნაბიჯებს, ახორციელებს შემდეგ პროექტებს/პროგრამებს:

(გთხოვთ აღწეროთ მოკლედ)

P17. იმისათვის რომ საჯარო დაწესებულებებსა თუ უწყებებში მოხდეს კორუფციის კონტროლის კვლევა, ჩვენი ორგანიზაცია დგამდა/დგამს შემდეგ ნაბიჯებს, ახორციელებს შემდეგ პროექტებს/პროგრამებს:

(გთხოვთ აღწეროთ მოკლედ)

P18. თქვენი აზრით (ორგანიზაციის ოფიციალური პოზიცია) დღეს საქართველოში პოლიტიკური სტაბილურობა:

1. ძალიან მაღალია
2. მაღალია
3. უფრო მაღალია ვიდრე დაბალია
4. უფრო დაბალია ვიდრე მაღალია
5. დაბალია
6. ძალიან დაბალია

7. უარი პასუხზე
8. სხვა (**მიუთითეთ**)

_____

გამოკითხული არასამთავრობო ორგანიზაციების (NGO) სია (დანართი N2)

1. ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია

2. ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი

3. ადამიანის უფლებათა ცენტრი

4. ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო

5. ასოციაცია - საზოგადოება განვითარებისათვის

6. ახალგაზრდები სამართლიანობისთვის - საქართველო

7. ახალგაზრდული ალტერნატივა

8. განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი

9. დემოკრატიის ინსტიტუტი

10. სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების საერთაშორისო ქსელი

11. თავისუფალი არჩევანი

12. თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი

13. ევროპულ დემოკრატიული ცენტრი

14. ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი

15. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

16. კავკასიური სახლი - საქართველო

17. კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის

18. კონსტიტუციის 42-ე მუხლი

19. მედიის განვითარების ფონდი

20. მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

21. ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი

22. საარჩევნო გარემოს განვითარების ცენტრი

23. საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი

24. საერთო სამოქალაქო მოძრაობა "მრავალეროვანი საქართველო"

25. საზოგადოებრივი დამცველი

26. საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი

27. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

28. სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი

29. სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინსტიტუტი

30. სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი

31. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

32. საქართველოს ახალგაზრდა ენერგეტიკოსთა ასოციაცია

33. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

34. საქართველოს ახალგაზრდა სოციალისტები

35. საქართველოს მედიამონიტორინგის ცენტრი

36. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი

37. საქართველოს პროგრესული ფორუმი

38. საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება

39. საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია

40. უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრი

41. საქართველოს რეფორმების ასოციაცია

42. სამოქალაქო განვითარებისა და ადამიანის უფლებათა ცენტრი

43. დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი

44. სოციალური დაცვის ლიგა

45. ახალი თაობა დემოკრატიული არჩევნები

46. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

47. საერთაშორისო ასოციაცია "კივიტას გეორგიკა"

48. მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

49. კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი

50. კავშირი მდგრადი განითარებასთვის ,,ეკოვიჯენ'

სატიტულო ფურცელი (დანართი N3)

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tariel Iremadze

The Role of NGOs in Political Stability on The Case of Georgia

Master Programme of Conflict Analysis and Management

Master's Thesis Presented to the Graduate Tbilisi State University Submitted of the Requirement for the degree of Master of Arts in Conflictology

Supervisor: Guguli Maghradze, Professor of the Tbilisi State University

Tbilisi 2019